



განათლება

ეოკელთვიური

სამეცნიერო-საკვადამოგომო ჟურნალი.

№ 6—7.

ივნისი და სექტემბერი 1920 წ.



თფილისი
სახელმწიფო სტამბა
1920

მასწავლებელთა ერი ღობის გადაღება.

წარსული ნოემბრის 20-ს, თანახმად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენციის დადგენილებისა, უნდა შეკრებილიყო მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა. ამ ყრილობის უმთავრეს საგნად დასახული იყო მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის განხილვა და მისი გაუმჯობესებისათვის სათანადო ზომების მიღება.

გფიქრობთ, ყველასათვის ნათელი და ცხადი უნდა იყოს ის უმწეო ნივთიერი მდგომარეობა, რომელსაც განიცდის საქართველოს მასწავლებლობა. ადვილი არ არის, ემსახუროს კაცი საქართველოში ახალი ეროვნული სკოლის საფუძვლის ჩაყრას, მის განვითარებას, აყვავებას; ადვილი არ არის საზოგადოდ მასწავლებლის დიდი დანიშნულების შეარქვება, ახალთაობის აღზრდა. თამაშად შეიძლება ითქვას, რომ თავისი მოვალეობის და მოწოდების პირნათლად განმასახიერებელი მასწავლებელი ყოველდღიურად ეზიდება გოლგოთაზე თვისი წამების ჯვარს; მაგრამ რა რიგ საყვარელი და ძვირფასია მისთვის ეს „წამების ჯვარი“, რა რიგ შესჩვევია იგი ამ მძიმე, მაგრამ ბრწყინვალე ტვირთის ზიდვას და უყვირლად, თავ დავიწყებამდის მისცემია მის სამსახურს! ხოლო მასწავლებელმა (მოგაასენებთ მოწოდებით მასწავლებელზე) რომ შეასრულოს თვისი უდიდესად პასუხსაგები მოვალეობა, აუცილებელია იგი იმდენად მაინც იყოს ნივთიერად უზრუნველყოფილი, რომ შესძლოს უსაჭიროესი მოთხოვნების დაკმაყოფილება, შესძლოს სულის სიმტკიცის შენარჩუნება, რათა თვისი ნერვიულობა, სულის მოღლილობა, აბატია და ნების ყოფის მოღუნება არ გადასცეს მოსწავლე ახალთაობას, რომლის უდიდესი ნაწილი თანამედროვე უკულმართი პირობების გამო ისედაც დააზარდებულია. უსამართლობა იქნებოდა არ აღგვენიშნა, რომ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეებაც და განათლების უწყების ხელმძღვანელებმაც გულწრფელად მოისურვეს მასწავლებელთა აუტანელი ნივთიერი მდგომარეობის შემსუბუქება, მაგრამ მრავალ დაბრკოლებათა გამო თვისი განძრახვა ვერ განახორციელეს... ხოლო არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სამწუხაროდ ჩვენი საზოგადოება შეძლებისდაგვარად არ ცდილობს დაეხმაროს იმათ, ვინც მათი შეილებს აღმზრდელადაა მოწოდებული. პირიქით გასაოცარი

გულგრილობით, უპატივცემლობით ეპყრობა მასწავლებელთა პიროვნებას და ხშირათ ზოგიერთი საზოგადოებისაგან არჩეული პირიც კი უდიერად ექცევა თვისი შეილები გზის მაჩვენებელს. ეს მოვლენა ნათლად მოწმობს ქართული ფართო საზოგადოების უკულტურობას...

საქართველოს მასწავლებლობას კარგად ესმის ის საერთო ეკონომიური არეგ-დარევა, რომელიც თითქმის მთელ ქვეყანას დაეუფლა და რომლისაგანაც, რასაკვირველია, თავისუფალი არ არის ჩვენი სამშობლოც, ამიტომაცაა, რომ იგი ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად რომლის განუკვეთელ ნაწილსაც წარმოადგენს, მზად არის ყოველგვარი გაქირვება აიტანოს, ოღონდ ხელი შეუწყოს მშრომელი ქვეყნის თავისუფლების განმტკიცებას, „შრომის სუფევის“ დამყარებას... არ არის მსხვერპლი, რა რიგ დიდიც არ უნდა იყოს იგი, რომლის გაღებაც არ შესძლოს ქართველმა მასწავლებელმა თავისუფლების დიდი საკურთხეველის წინაშე, თუ კი „ლუკმა პური“ მაინც არ იქნება მისთვის დაშურებული. და ვფიქრობთ, ნოემბრის 20-ს შეკრებილ დელეგატთა ყრილობა სწორედ ამ თვალთაზრისით მიუღდებოდა თვისი ყოფნა-არ ყოფნის საკითხს და შეეცდებოდა ისეთი გზის გაკონახვას, რომელიც მას შეძლებას მისცემდა გაეგრძელებინა მომავალშიაც თვისი თავგანწირული სამსახური..

მაგრამ ჩვენი ქვეყნის სამრეკლოდან კვლავ გაისმა გამაფრთხილებელი მოწოდება: მტრები, დაუქინებელი მტრები ჩვენი ქვეყნისა მუხანათურად კვლავ თავ-დაცემას გვიპირებენო; და, ამ ბოლო ხანებში ისედაც იშვიათად მოწმენდილ სამშობლოს ცაზე, კვლავ აიშალენ მოსალოდნელი საფრთხის მთხრობელი ღრუბლები.

ამ გარემოებას ანგარიში გაუწია საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭომ და ყრილობა იანვრის 9-ისთვის გადადგა. გვინდა ვიწმინოთ, რომ ამხ. მასწავლებლები სავსებით გაიზიარებენ საბჭოს მიერ გადადგმულ ნაბიჯს ყრილობის გადადების შესახებ. მომავალ ყრილობა გასარჩევი აქვს მრავალი საყურადღებო საკითხი, რომელთა შესახებაც იმეღია, თითოეული ადგილობრივი ორგანიზაცია იქონიებს მსჯელობას და გარკვეულის მოსაზრებით აღქურავს თვის წარმომადგენლებს ამით, ეჭვი არ არის, თვით ყრილობის მუშაობაც უფრო ნაყოფიერ იქნება. ეს მეორე ყრილობაა საქართველოს მასწავლებელთა ცხოვრებაში და გულწრფელად ვისურვებთ, რომ მას ღირსეულად შეესრულებიოს თავისი მოვალეობა.

ანა ბაპტისტი.

ორიოდ სიტყვა ისტორიის სწავლების შესახებ.

I რა არის ისტორია, როგორც მეცნიერება.

როდესაც ელემენტარ სწავლებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, ჩვეულებრივად არც ერთი საგანი არ იწვევს ისეთ დავას და კამათს, როგორც ისტორია. ალბად ეს იმით აიხსნება, რომ თვით ისტორია, როგორც მეცნიერება შედარებით გამოურკვეველი რამ არის. რა არის ისტორია, როგორც მეცნიერება? არის კი საზოგადოდ იგი მეცნიერება, თუ არა? და თუ არის, როგორი მეცნიერებაა: აღწერილობითი, თუ განზოგადებითი, ესე იგი მხოლოდ კერძო მოვლენათა ქრონოლოგიურ აღწერას ისახავს თავის საგნად, თუ მხოლოდ მათ განზოგადებას და საზოგადო კანონების გამოკვევას? ცხადია, რომ ისტორიის სწავლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ უტკეპრის პედაგოგი ამ საკითხებს. თუ, მაგალითად, ჩვენ ისტორიას შევხედეთ ისე, როგორც მხოლოდ სინთეტიურ (განზოგადებია) მეცნიერებას, იმ შემთხვევაში მოსალოდნელია ისეთი უკიდურესი აზრიც, რომლის მიხედვითაც ისტორიის სწავლებას სრულიად არ უნდა ჰქონდეს ადგილი არა თუ პირვილ დაწყებითში, საშუალო სასწავლებელშიც კი. ხოლო თუ ისტორია ვსცანით მხოლოდ აღწერილობით მეცნიერებად, იმ შემთხვევაში შესაძლებელია ისტორია შეტანილი იქნეს სასწავლო საგანთა სიაში სწავლების პირველი წლიდანვე.

ისეთ საგნებისათვის, რომელშიც აშკარად ერაღება და ერთმანეთს ადვილად ეგუება აღწერა და სინტეზი, მაგალითად, ბუნების მეტყველებებისათვის, ასეთი საკითხი არ არსებობს. ამ დარგში პედაგოგი ადვილად იპოვის ყოველი ასაკის შესაფერ მასალას, აგრეთვე ისეთ საგანში, როგორიც არის გეოგრაფია. ისტორიის შესახებ კი ყოველ შემთხვევაში ის აზრი მაინც დამყარებულად უნდა ჩაითვალოს, როგორც შემდეგში დავინახავთ, რომ სულ მცირე ასაკისათვის იგი არავითარ შესაფერ მასალას არ იძლევა. ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიგონოთ თუნდაც, რა გაჭირვებით და რა ყოყმანის შემდეგ შემოიღო რუსეთის სამინისტრომ გიმნაზიების I—II კლასებში ისტორია. მით უმეტეს დაწახსიეთებელია ეს გარემოება, რომ პესსიმისტების მოლოდინი სრულიად გამართლდა და მართლაც და რაღაც უმგვანი ხასიათი მიიღო ამ კლასებ-



ში ისტორიის სწავლებამ. მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ უმცროს ასაკში მართლაც არ ისწავლება ისტორია? ნიშნავს ეს იმას, რომ ისტორია მცირე ასაკის ბავშვებისათვის არ გვაძლევს კონკრეტ მასალას?

ერთი მხრით ისტორია, როგორც მეცნიერება, აუარებელ კონკრეტ მასალას გვაძლევს, ისეთ აუარებელს, რომ თუ ამ მასალის შესწავლას ან შეგროვებას კეთილსინდისიერათ შევუდევით, ეს მასალაც მეცნიერება კი არ გამოვა, უთავბოლოთ არეგ-დარეული აღრიცხვა ფაქტებისა. ხოლო თუ მოვისურვეთ ფაქტების და მოვლენების სისტემაში მოყვანა და რაღაც გარკვეული წესით დალაგება, მაშინ ფილოსოფიის და სოციოლოგიის სამფლობელოში შევტრავით. თუ ისევ ფაქტების გამოკვლევას მივცემთ უპირატესობას და სისტემის დასაცავად ისტორიულ მოვლენებს სხვა და სხვა სფეროს მიხედვით გავანაწილებთ (ისტორიულ-ლიტერატურულს ცალკე, ეკონომიურს ცალკე, ასრეთ წოდებულ „სიძველეებს“ ცალკე, ხელოვნების სფეროსას ცალკე, ლინგვისტიკისას ცალკე და სხ.) მაშინ ისტორია რამდენსაღე დამოუკიდებელ დარგად იცვალა, რომელთაგანსაც თვითი თვისი სპეციალისტი სჭირდება. ისტორიისათვის კი აღარა რჩება ასპარეზი. ამიტომ ხშირად ასეთი საკითხიც კი იბადება: არის კი ისტორია მეცნიერება?*) თუ იგი უბრალო კონგლომერატია სხვადა და სხვა მეცნიერებათა, ან მასალის მოპვრეველი ისეთ ზოგად მეცნიერებისათვის, როგორც არის სოციოლოგია?

ყველა ეს საკითხები მეტად ძნელი გადასაწყვეტია, მეტად რთული, მაგრამ ისტორიის სწავლების დაყენების საქმის გადაწყვეტა მაინც შეუძლებელია, თუ პედაგოგს არა აქვს ამ საკითხების შესახებ გარკვეული აზრი.

ჩვეულებრივ ისტორიას აღარებენ ხოლმე ბუნების მეტყველებას. მაშინ, როდესაც ბუნების მეტყველება იკვლევს და სწავლობს ინდივიდუალურ მოვლენას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი გვაძლევს საშუალებას საზოგადო კანონების აღმოჩენისას და დადასტურებისას, ისტორიას ინდივიდუალურ მოვლენათა შესწავლის დროს მხოლოდ მასთან აქვს საქმე და იკვლევს მას როგორც ასეთს, რათაგანაც ისტორიული მოვლენები არ მეორდებიან. მაგალითად იტალიის რენესანსი იყო ერთხელ და მეორედ არასოდეს იგი არ გამეორდება. ამიტომ მისი გა-

*) იხ. ლაკობი. „Содіологическія основы ист.“.

მოკვლევა და შესწავლა ისტორიულად, არავითარ კანონს არ აღმოაჩენს და არც დაადასტურებს. იგი აღმოაჩენს და გამოიკვლევს მხოლოდ ფაქტს. ამ აზრის მიხედვით ისტორიის საგანს შეადგენს ყველა იმ ფაქტთა კრებული, რომელთაც განაგებს გონება და რომელნიც განიცდიან გონების გავლენას*). ამ აზრის მიხედვით ცოდნის იდეალს შეადგენს ყველა ფაქტებისა და ყველა პიროვნებათა ცოდნა. ერთი სიტყვით ისტორია აზრის იდეოგრაფიული მეცნიერება, ბუნების მეტყველება კი ნომოთეტიური, ანუ, როგორც პოზიტივისტები ამბობდნენ, კონკრეტი და აბსტრაქტი. პირველი რიგი მეცნიერებათა მხოლოდ ფაქტს იკვლევს, მეორე კანონს, ხოლო რაფანაც პოზიტივისტები (განსაკუთრებით ნატურალისტური) მთელ მსოფლიოს ერთ საერთო კანონს უმორჩილებდნენ, ამიტომ მათის აზრით ადამიანი და მისი საზოგადოებაც ბუნების საერთო კანონს ემორჩილება და ამიტომ ბუნების მეტყველების კანონი კანონია აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათათვისაც. ამ თეალსაზრისით, რასაკვირველია ისტორიის თავისი განსაკუთრებული კანონი არ უნდა ჰქონოდა; ეს მეცნიერება, როგორც კონკრეტი, აბსტრაქტ მეცნიერებათა მიმართ მხოლოდ მსახურის როლს ასრულებს, ე. ი. მას აქვს მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ემსახურება სოციოლოგიას, როგორც აბსტრაქტ მეცნიერებას. ამ თეალსაზრისით კონკრეტი და აბსტრაქტი მეცნიერებანი შემეცნების სხვა და სხვა საფეხურს კი არ წარმოადგენენ, არამედ სრულიად ერთმანეთისაგან განსხვავებულს ლოგიკურად შეურიგებელს და ბუნებრივად შეუთანხმებელს დარგებს.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თითქმის იგივე აზრი განმეორებული აქვს ცნობილ ფილოსოფოსს ვინდელბანდს, რომელიც თავის ფილოსოფიის ისტორიაში მეცნიერებათა სხვა და სხვა დარგებს ორ ნაწილად აყოფს: ა) მეცნიერებანი, რომელიც მოვლენებს იკვლევენ და ბ) რომელიც კანონებს არკვევენ. ამასთან მეტოდებსაც არკვევენ და პირველს უწოდებს იდეოგრაფიულს, მეორეს ნომოთეტიურს. ნაწილი იმასვე ამბობს მხოლოდ სხვა ტერმინოლოგიით. მისი აზრით ისტორია აზრის მეცნიერება სინამდვილის შესახებ, ბუნების მეტყველება კი შესაძლებლის აუცილებელ პირობების შესახებ. დაახლოვებით ამავე აზრის განვითარებას და უკეთესად დასაბუთებას წარმოადგენს რიკკერტის შრო-


*) ასე ამბობდა ბურდო იხ. Корбевъ. Введение въ социологию.

მა: „საზღვრები“ და ისტორიის ფილოსოფია“. რიკვერტის ისტორიასა და ბუნების მეტყველების შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მათ საქმე აქვთ სხვა და სხვა გვარ კატეგორიის ფაქტებთან და მოვლენებთან. ისტორიული ფაქტი ჩვენში ძრავს ინტერესს არა იმიტომ, რომ იგი სხვა ფაქტისაგან განიზიჩევა, არამედ იმიტომ, რომ იგი სხვა ფაქტებს წააგავს. რა თქმა უნდა ყოველი საგანი და ყოველი მოვლენა თავის ინდივიდუალობაში მეორისაგან განიზიჩევა ადამიანი ვერ იპოვნის ორ მოვლენას რომ ერთი მეორეს სრული განმეორება იყოს, მაგრამ მასთან მოვლენათა შორის მსგავსებაც არსებობს. ამიტომ თვითნებური მოვლენა წარმოადგენს ცნებათა გვარის ერთ ნაწილს, ერთ წევრს, ისე როგორც სხვა და სხვა ხე, რომელთაც თავისი კერძო თვისებათა აქვსთ, მაგრამ იმავე დროს საერთო თვისებებიც იმდენი აქვთ, რომ მათ ერთი საერთო ცნების აღსანიშნავი სახელი ვუწოდებთ. ამგვარ შემეცნებას ჩვენ ცოდნაში შეაქვს წესი და რიგი და ეს არის ნამდვილი მეცნიერული შემეცნება. ამ კანონს ემორჩილება როგორც ბუნების მეტყველება, ისე ისტორიაც, მაგრამ, რადგანაც ისტორიაში ჩვენ საქმე გვაქვს ქრონოლოგიურის თანდათანობით მომხდარ ფაქტებთან, ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ისტორია სულ სხვა მეცნიერებაა და ბუნების მეტყველება სულ სხვაა. ხომ შეიძლება, რომ ბუნების მეტყველებაც განვითარების თვალსაზრისით შევისწავლოთ და უმთავრესი გულსკური მივაპყრათ, ვთქვათ, ორგანიზმთა განვითარებას. მაშინ აქაც ხომ იგივე უნდა ვსთქვათ, რასაც ისტორიაზე ამბობენ, რომ ერთი და იგივე მოვლენა არ მეორდება. არამც თუ ისტორიაში, საზოგადოდ ცხოვრებაშიც ერთი და იგივე ფაქტი არ მეორდება და თუ ჩვენ საგნების ერთ ჯგუფს ერთპანეთს ვუფარდებთ. მხოლოდ ზეპოაღნიშნული აზრით.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ საგნის ან მოვლენის ინდივიდუალობას თავისთავად არ ჰქონდეს მნიშვნელობა, არ იპყრობდეს ჩვენ ყურადღებას და არ იწვევდეს ჩვენში ინტერესს. პირიქით ხშირად, როგორც ამბობა რიკვერტი „საგანი გვანტერესებს ჩვენ იმდენად, რამდენადაც მას აქვს რამე თავისებური თვისება, რომელიც მხოლოდ მისი თვისებაა და რომლითაც იგი სხვა საგნისაგან განსხვავდება“. ჩვენი ინტერესი და ჩვენი ცოდნა (ამ შემთხვევაში) მიმართულია მის ინდივიდუალობისადმი და თუ, ამავე დროს ვიცით, რომ ყველა



სხვა აბიექტების მაგვარად, ისიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ეგზეგეტიკური რომელიმე გვარობრივი ცნებისა, ჩვენ მაინც არა გვაქვს სურვილი, რომ იგი სხვა საგნებს გავუთანასწოროთ და ვცდილობთ სხვა საგნებისაგან გამოვყოთ. ენაში ეს იმით გამოიხატება, რომ ჩვენ ამ საგანს საკუთარ სახელს ვაძლევთ“. აი ეს არის მეცნიერულ კვლევა ძიების მეთადი, იგი საერთოა ყოველ მეცნიერებისათვის, იგი გვაძლევს საშუალებას, რომ ერთი მხრივ სინამდვილე შევისწავლოთ მისი მრავალ გვარობით და მეორე მხრივ საერთო კანონებიც აღმოვაჩინოთ. მართალია, მოვლენა და ფაქტი არ მეორდება, მართალია სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ინდივიდუალობა, მაგრამ ადამიანის შემოქმედების და განზოგადების უნარს თვითონ შეაქვს წესრიგი მრავალ საგანთა კონგლომერატში. ამგვარად ყოველსავე მეცნიერებას აქვს მისწრაფება ერთი მხრით ინდივიდუალობის შესწავლისა და მეორე მხრივ კანონების აღმოჩენისა. ამიტომ მეცნიერებათა დაყოფა ნომოთეტიურ და იდიოგრაფიულ ჯგუფებად შეცდომადაა უნდა ჩაითვალოს როდესაც რომელიმე სპეციალისტი ვიწრო სპეციალურ ლინგვისტიურ, ან ლიტერატურულ, ან ეკონომიურ საკითხს იკვლევს იგი ინდივიდუალურ მოვლენას სწავლობს და რაც უფრო მკვეთრი და მოვლენის მარტივ ელემენტებად განმანაწილებელია მისი გონება, იმდენად უფრო მკიდრო ნიადაგს უმზადებს იგი ისტორიულ სინტეზს. მხოლოდ ერთ რამეში არის განსხვავება ვიწრო სპეციალისტსა და ნამდვილ ისტორიკოსს შორის: თუ სპეციალისტი შრომობს ამა თუ იმ მოვლენის შესწავლისთვის და ცდილობს მისი ინდივიდუალობის გამოარკვევას და ის კი სრულებით არ ახსოვს ან არ იცის, რომ ეს საგანი მისი ინდივიდუალობით იმავე დროს ნაწილია საერთო გვარისა, ეს შეუზღებელი კვლევა მის ნაშრომს წაუტოვებელ ბეჭედს ასვამს ზედ და მისი შრომა, მოკლებული ფართო ისტორიულ სინტეზს, ისტორიულ შრომადაც არ გამოდგება. ამისათვის მის ნაშრომს ისტორიკოსი შეედავს, როგორც სპეციალურს და ისტორიისათვის ვიდრე გამოიყენებდეს მის ნამუშევარს. ხელახლად გადაამუშავებს სხვა დაზიდან ამოკრებილ ცნობებთან ერთად. თვით ისტორიკოსის მეცნიერული მუშაობა ინდივიდუალურ მოვლენის გამოკვლევისათვის გამოიხატება ისტორიული ფაქტის გამოკვლევაში, რამდენადაც ეს ფაქტი არის ცოცხალი ადამიანის ან ადამიანთა მოქმედება, როგორც შედეგი სხვა და სხვა გვარ (ფსიქიურ, ეკონომიურ და სხვა) მოვლენათა.



ისე რომ ობიექტი ისტორიისა რთულია, იგი არის სხვა და სხვა სფეროს გავლენის შეერთება და რომელიმე აქტში გამოხატვა. ისტორიას ამ აქტთან აქვს მხოლოდ მოქმედება. მაშასადამე ისტორიის ობიექტი უფრო რთულია, ვიდრე სხვა დარგის მეცნიერებისა. ამიტომ ისტორიკოსი ანგარიშს უნდა უწევდეს ფსიქოლოგიას, მაგრამ იგი ფსიქოლოგოსი არ არის, აგრეთვე ლინგვისტიკას, მაგრამ იგი ლინგვისტი არ არის, ეკონომიკას, მაგრამ იგი ეკონომისტი კი არ არის და სხვა. იგი არ იკვლევს სპეციალურად არც ერთ ამ დარგის საგანს, მაგრამ ყოველ ამ დარგთან მას აქვს საქმე იმდენად, რაღდენადაც დარგთა სფეროს მოვლენები თავს იყრიან ისტორიულ აქტში, რომელთანაც აქვს საქმე ისტორიკოსს. აი რათი განიზრჩევა ისტორია სხვა დარგის მეცნიერებისაგან და არა იმითი, რომ იგი უფრო ინდივიდუალურ მოვლენებს იკვლევს და არა კანონებს ან პირიქით.

ამგვარად ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია მეცნიერებათა ორ ნაწილად დაყოფა: ნომოტეტიურ და იდიოგრაფიულ, ან თუნდაც, როგორც წინადა ამბობდნენ ნოგოლოგიურ და ავენოლოგიურ მეცნიერებათა დარგებად (იხ. კარევის ფილოსოფია). ყოველი მეცნიერება, თუ იგი მეცნიერებაა, კანონებს იკვლევს და ყოველი მეცნიერება, თუ იგი მეცნიერულ დასაბუთებას ცდილობს თავის დებულებებისას ინდივიდუალურ მოვლენათა ანალიზს გვერდს ვერ აუქცევს. თავდაპირველად კი ორივე ბანაკის მომხრე მეცნიერები უკიდურესობაში ცვივდნენ. მაგალითად ისტორიის ნომოტეტიური მნიშვნელობის მომხრენი იყვნენ ვოლტერი და მონტესკიე, ნამეტნავად უკანასკნელი, რომელმაც თითქმის არარაობისაგან შექმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგი, და პირველად გამოსთქვა ის აზრი, რომ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრებაც და არა მხოლოდ ბუნება, კანონებს ემორჩილება. მონტესკიეს შემდეგ ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონების ძებნა ჩვეულებად შემოვიდა, მაგრამ კაი ხანს არავის ფიქრად არ მოსდიოდა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას შეიძლება თავისი საკუთარ კანონები ჰქონდეს, და იქაც ბუნების კანონების განმეორებას ეძებდნენ. ამიტომ საზოგადოებრივ მეცნიერებაშიც ბუნების მეტყველების კანონები და მეთოდები გამეფდა და ისტორიას, როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებას, არავითარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ ჰქონდა. „სოციალური ფიზიკა“ „ისტატიკა“, „დინამიკა“ — ეს ტერმინები, განსაკუთრე-



ბით პირველი ამტკიცებენ, რომ მაშინდელი მეცნიერები (ოგ. კონტი „Cours de phil. pas.“) ცდილობდნენ ბუნების მეტყველების სხვა და სხვა დისციპლინა მთლიანად ვადმოენერგათ საზოგადოებრივ მეცნიერებაში. ლაპლასის, კუვიეს, ლამარიკის და სხვათა აღმოჩენებმა ბუნების მეტყველების სფეროში იმედი აღუძრა მეცნიერებს, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგშიც იგივე აღმოჩენები შეიძლება განმეორდეს. ამგვარი გავლენა ეტყობა, მაგალითად კეტლეს მის „სოციალურ ფიზიკაში“ და ბოკლის ცნობილ თხზულებას. მაშინ დაიწყეს კვლევა ადამიანის მოდგმის „ბუნებრივი ისტორიისა“. ყველა ამას ბოლოს და ბოლოს სასურველი შედეგი მოჰყვა. მაგალითად „ბუნებრივი ისტორიის“ კვლევა შემდეგ ანთროპოლოგიად და ეთნოგრაფიად გადაიქცა, მაგრამ მანამდის კი თითქმის კურიოზულ ცდას წარმოადგენდა ერთი დისციპლინის მეთოდების და დებულებების სულ სხვა დისციპლინაში ვადმონერგვისას. შემდეგში ამ მეცნიერულმა მოძრაობამ ვამოიწვია ისეთი შრომები, როგორც სპენსერის სოციოლოგია მრავალ ეთნოგრაფიულ და სხვა მასალებზე დაფუძნებული და ვანსაკუთრებით კი კულტურის ისტორიის და ცივილიზაციის ისტორიის საზოგადო კურსები, როგორც მაგ. ლიპპერტისა, კოლბისა, დროზმანისა, ამ საზოგადო კურსების თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მათში ვაცობრიობა და კულტურა ვაერთიანებულია, ვანსხვავება თვითეულ ქვეყნისა ან ერისა მოყვანილია მხოლოდ იშვიათად, ისიც იმ მიზნით, რომ ამ ვანსხვავებამ უფრო უკეთ აღნიშნოს საერთოს მთლიანობა. ამიტომ ამ კურსებში კონკრეტი მოვლენები, ადამიანის ცოცხალი სული, მოქმედება, როგორც შედეგი რთული ფსიხოლოგიური ვანცდლისა და თუნდაც იმავე ცივილიზაციის და კულტურის ვაღენისა, იჩქმალდება, არა სჩანს. ისტორია, როგორც ასეთი იშითი ვანიჩევა ამ საზოგადო კურსებისაგან, რომ მას, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, საქმე აქვს ცოცხალ ადამიანის ცოცხალ მოქმედებასთან. ეს კი არ იქნება არ იყვეს ინდივიდუალური, თუმცა მრავალი ხალხის მოქმედება შეიძლება საზოგადოდ ერთგვარად იყვეს თავის შედეგებით და მიზნებით. ამიტომ საზოგადოდ კურსები ცივილიზაციის და კულტურის ისტორიისა ისტორიის ვაგიგრობას ვერ ვასწევს. მასში უფრო ხშირად დაცულია უნივერსალური თვალსაზრისი, ამნაირი კურსი უფრო ხშირად დავწერილია ერთი საზოგადო აზრის, ან რაიმე ტენდენციის ვასატარებლად რომელიც მეცნიერ-

რებათა სხვა დარგიდან არის ნასესხები. ასეთია მაგალითად პ. რინჰარდის „Natural history“, რომელიც სკდილობს ბუნების ისტორიის თვალსაზრისის გატარებას კაცობრიობის ისტორიაში. ასეთია ბლუშენბახი, რომელიც არკვევს „ბუნებრივ სხვა და სხვაობას ადამიანთა“ მოდგმისას. (ეს ცნობები ამოკრებილია ლაპპო-დანილევსკის წიგნიდან.) ტაილორიც თავის ანტროპოლოგიაში ცდილობს ადამიანის პირველყოფილი კულტურის ისტორიის აღწერას და ამ შრომისა ცდიერ ეტყობა ბუნების მეტყველების გავლენა. საზოგადოდ უწინ ანტროპოლოგიას ეძახდნენ ადამიანთა მოდგმის ბუნების ისტორიას. დაახლოვებით ასეთივე ხასიათი აქვს ცნობილ შრომას როლლანისას, რომელიც პროვინციის-ტურ აზრს ატარებს თავის შრომაში, გიზოს საფრანგეთის ცივილიზაციის ისტორიას, რომელიც სკდილობს დაამტკიცოს, რომ ცივილიზაცია სოციალურ ურთიერთობის განვითარებაში მდგომარეობს. რა თქმა უნდა, მსოფლიო ისტორიებს და ცივილიზაციის ისტორიებს უფრო ახლო კავშირი აქვს ისტორიასთან, ამასთანავე რა თქმა უნდა ამგვარმა მრავალ ნაირმა ცდამ, თავის თავად მრავალ შეცდომებთან ერთად, მაინც ბოლოს და ბოლოს ბევრი ახალი საკითხი გამოიკვლია და დიდი შედეგი მოიტანა, ისტორია დააყენა ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე. მაგრამ მაინც არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ვრცელი მსოფლიო ისტორიის წიგნების წერა ამ უკანასკნელ ღროს თან და თან ისაობა, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელობას ჰკარგავს მას შემდეგ, რაც არქეოლოგიური ნაშთების პოვნამ დაარწმუნა მეცნიერება იმაში, რომ ძნელია ისტორიას შევხედოთ ისე, როგორც მთლიანს შეუკრყვევლ პროცესს. ასე ისტორიული არქეოლოგიის განვითარებამ თანდათან შეიმუშავა ის აზრი, რომ ხშირად ერთს და იმავე ადგილზე რამდენჯერმე აღორძინებულა კულტურა და განადგურებულა კერა ისტორიული ცხოვრებისა, ყოველ შემთხვევაში ეკონომიური დაცემა და ხელახალი განვითარება ხშირად მომხდარა. მსგავსება სხვა და სხვა ხალხის აზროვნობასა და ცხოვრებაში ისე აშკარად გამოჩნდა, რომ ისტორიკოსებმა უკვე საერთო ისტორიულ კანონებს დაუწყეს ძებნა და თავი მიანებეს მსოფლიო თვალსაზრისს და ერთ მსოფლიო კანონის თვალსაზრისით კაცობრიობის ისტორიის განხილვას. ამგვარი მიმართულება განსაკუთრებით ეკონომიური ისტორიის განვითარებამ გამოიწვია. მაგრამ ადამიანის გონება, აზროვნობის ერთგვარ მსვლელობას შეჩვეული, ვერ შორდება

მას. ამ ახალი გზით სიარულის დროსაც მეცნიერება ისევ ერთი პრინციპის ძებნას შეუდგა და სურდა ისტორიაც ამ პრინციპის მოსაძებნად გამოეყენებინა. დაუწყო ძებნა ერთ ფაქტორს, რომელზედაც უნდა იყოს აშენებული ადამიანის ცხოვრება და მისი განვითარება ამგვარ ფაქტორად მარქსს და მის მიმდევრებს მიაჩნდათ ეკონომიური სტრუქტურა. რასაკვირველია, ეს მიმართულება, როგორც რწმენა შეიძლება კარგიც იყოს, შეიძლება ცუდიც, ანაჲ აქ არ შევხებით. ხოლო რამდენად შესაფერია ისტორიისათვის, როგორც მეცნიერებისათვის ამ თვალსაზრისის მაშინ გადატანა და განსაკუთრებით სურვილი, რომ ისტორია როგორც მეცნიერება, მაინც და მაინც ამ პრინციპის დასამტკიცებელ მასალის საძებარ ასპარეზად გახდეს, ეს სულ სხვა საკითხია და ამას გულდასმით განხილვა სჭირდება, რომ ვიცოდეთ თუ რა არის ისტორია როგორც მეცნიერება და რანაირად უნდა შევასწავლოთ იგი მოზარდ თაობას.

გ. ნათაძე.

სოფლის სკოლები ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებზე შტატებში.

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ჩრდილოეთ-ამერიკის შტატებზე შტატებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახალხო დაწყებით სკოლეს. იმ დროს, როცა აქაური ქალაქის სკოლები ყოველის მხრით კარგად მოწყობილი და უზრუნველყოფილია, სოფლის სკოლებს ბევრი რამ თვალსაჩინო ნაკლი აქვთ და არსებითი რამ აქლიათ, როგორც სწავლის საქმეში, ისე ბინის, ხელსაწყოსა. სასკოლო გიგინისა და სხვათა მხრით, მაგრამ დღემდე თითქმის ყოველი სურვილი ამ სფეროში სურვილად-და რჩებოდა.

უკანასკნელი 1910 წლის აღწერის მიხედვით ადგილობრივი მცხოვრებნი იყოფიან პროცენტულად შემდეგ ნაირად: ქალაქის მცხოვრებნი შეადგენენ—46,3⁰/₀, სოფლისა—53,7⁰/₀. ყოველი სოფელი, რომელშიაც 2500, ან მეტი მცხოვრები ითვლება, მიეწერება ქალაქს.

ზოლო დანარჩენი-კი, სადაც 2,5 ათასზე ნაკლები მცხოვრებია და ყველა ცალკ-ცალკე გაფანტული მოსახლეობა ითვლებიან სოფლის მცხოვრებლად. ამ ქალაქებსა და სოფლებს შორის მანძილის სიდიდე და გზების მოუწყობელობა შეადგენს უმთავრეს მიზეზს ადგილობრივ სოფლის მცხოვრებთა განვითარების დაბალ საფეხურზე დგომისას... ამ ახლო წარსულში განათლების ბიურომ მოახდინა გამოკვლევა სოფლის სკოლების მდგომარეობის შესახებ; წინასწარი ცნობები გამოქვეყნებულ იქმნა ბიუროს ერთ-ერთ მიმდინარე გამოცემაში ე. წ. „ბიულეტენ“-ში.

ქვემოთ მოყვანილი შედარება მშვენიერი ილლიუსტრაციაა ადგილობრივ ქალაქებისა და სოფლების მდგომარეობისა. ეს შედარება ნათლად დალადებს აგრეთვე სოფლის სკოლების არა სასარგებლოდ. ქალაქების 46,3%—იან მცხოვრებთა შორის წერაკითხვის უცოდინარი ითვლება 5,1%-მდე. ხოლო სოფლის 53,7% მცხოვრებიდან—10,1% ე. ი. სწორედ ორჯერ მეტი. პირველიცა და მეორეც ძალიან დიდი პროცენტია მოწინავე, განათლებულ ქვეყნისათვის, მაგრამ ეს აიხსნება იმ უსწავლელ ემიგრანტების სიმრავლით, რომელნიც დიდძალ ტალღებად აწყდებიან ამერიკას ყოველ წლივ, უკულტურო ქვეყნებიდან, განსაკუთრებით—რუსეთიდან. სასკოლო პასაკის ბავშვები შეადგენენ ქალაქის მცხოვრებთა შორის 41,5%, სოფლებში-კი 58,5%. ეს გადაჭარბება უთუოდ იმით აიხსნება, რომ მრავალი სოფლელი მამები სტრუგებენ თავიანთ ოჯახებს, ცოლ-შვილს სოფლად და მიდიან ქალაქებში სამუშაოდ, სადაც, ცხადია, რეგისტრაციის დროს ხვდებიან ქალაქის მცხოვრებთა რიცხვში. სკოლაში მოსიარულეთა რაოდენობა სოფლებში მეტია (58,5%) ვიდრე ქალაქებში—(41,5%). სამოსწავლო დღეები ქალაქებში არის 184,3, სოფლებში 137,7. ამ გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ თითქმის $\frac{2}{3}$ შტატის სკოლები სოფლებში ძლიერ ცუდად არის დაყენებული: მეთვალყურეობა სუსტია, მასწავლებლები არ არიან სპეციალური ცოდნით აღჭურვილნი მეცადინეობა სწარმოებს შეუფერებელსა და ხშირად ანტიანტიტარულ ბინებში. ცხადია ზოგიერთი შტატი და ცალკე ადგილები ამა, თუ იმ შტატებში გამონაკლისს შეადგენენ, მაგრამ საზოგადოთ მდგომარეობა იმდენად არა დამაკმაყოფილებელია, რომ იგი იპყრობს როგორც მთავრობის, ისე კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებათა განსაკუთრებულ ყურადღებას. ზემოთ მოყვანილი გამოკვლევა მოახდინ-

ნა 1911 წელს გახსნილი განათლების ბიუროსთან არსებულმა სოფლის სკოლების განყოფილებამ, რომლის მოვალეობას შეადგენს სოფლებში სწავლის საქმის წარმატებაზე ზრუნვა. ამ მუშაობისთვის (გამოკვლევისთვის) იყო გადაღებული — 60,000 მან.

პირველს — „სტატისტიკურ ბიულეტენს მოჰყვა მეორე — „სოფლის სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები“. არსებობს ცალკე პედაგოგიურ გამოცემათა საგამომცემლო განყოფილება, რომელშიაც შედის 50 ცნობილი და გაოჩენილი პედაგოგი და სახალხო განათლების ასპარეზზე მოღვაწე. ისინი მხოლოდ ამ საქმეს ეკუთვნიან და ემსახურებიან სავსებით. რისთვისაც ეძლევათ განსაკუთრებული ჯილდო.

ისინი სწავლობენ და იკვლევენ სწავლა-აღზრდის საქმეს ყოველის მხრით, როგორც საერთოდ, ისე კერძოდ თავიანთ ქვეყანაში; ათვალიერებენ და ეცნობიან სხვა-და-სხვა ადგილებში სკოლებს, იღებენ მონაწილეობას სხვა და სხვა ნაშრომის გამოცემაში. სოფლის სკოლების საჭიროებათა შესასწავლად, პროფესიონალურ განათლებისა და სკოლის ჰიგიენისათვის გაღებულ ხარჯების რაოდენობა 1912 წელს 60,000-დან 150,000 მანეთამდე გაიზარდა.

ეროვნულ ასოციაციის წლიურ კრებაზე განათლების ეროვნულმა საბჭომ დაადგინა აგრედვე დააარსოს ასოციაციასთან საგანგებო კომიტეტი — 11 პირი აგან შემდგარი, — „სოფლის სკოლების თანამედროვე მდომარეობის შესასწავლად და მის გასაუმჯობესებელ საშუალებათა გაოსამუშავებლად“. აქვე გადაიღო ამ საკითხის შესასწავლად 10 ათასი მანეთი და შემდეგ კიდევ 10,000 მან. პირველი ყრილობა მოხდა 1912 წლის დასაწყისს.

უკანასკნელ წლებში სამ შტატში დაარსდა სოფლის სკოლების მდგომარეობის შესასწავლად საგანგებო კომისია. 1—შტატი იოვში კომისია შესდგება 21 კაცისგან და დაარსებულია ადგილობრივ მასწავლებელთა ასოციაციის ინიციატივით, მის წლიურ ყრილობაზე — 1911 წელს; მე-2-ე ჩრდ. დაკოტაში — ადგილობრივ მასწავლებელთა „განათლების საზოგადოების“ ინიციატივით. მე-3-ე ისკოარინში-კი კომიტეტი 15 კაცისგან — შედგენილია სახალხო განათლების სუპერინტენდენტის-მიერ. ამას გარდა ოცამდე შტატში განათლების დეპარტამენტთან დაარსდა საგანგებო ჯამაგირიანი თანამდებობა სპეციალი-



სტებისა—მეთვალყურეობის, თუ ინსპექტორობის მსგავსად, რომელიც მთელს თავის დროსა და ყურადღებას ანდომებენ (ხოლოდ და მხოლოდ სოფლის სკოლების არსებობის პირობებსა და საქროებათა შესწავლას. 12 შტატში ამით ეწოდებათ სახელმწიფო მეთვალყურე და ჯამაგირი ეძლევათ ნახევარი შტატის სალაროდან, ნახევარი-კი პიბოდის სახელობის განათლების ფონდიდან. იმ შტატებში, სადაც ნეგრები სჭარბობენ, არიან საკუთარი მეთვალყურეები ნეგრების სკოლებისა. სახალხო სწავლა-განათლების საქმეში დაწინაურებულ შტატებში, როგორც მაგალითად—მასაჩუსეტსში და ნიუ-იორკში, სოფლის სკოლათა მეთვალყურენი ითვლებიან შტატის „განათლების საბჭოს“ წევრებად. რამდენსამე შტატში ამ მეთვალყურებს სკოლათა ინსპექტორი ეწოდებათ. ამ მეთვალყურეთა მოღვაწეობა განსაკუთრებით ინტენსიურია სამხრეთის შტატებში. ისინი პირადად ადგილობრივ ეცნობიან სკოლების ცხოვრებას და ეწევიან პრობაგანდას სათემო და საოლქო სებჭოებში. საუბრებისა და კთხვების დროს განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სამ უმთავრეს რამეს: გადასახადთა გადადება, სკოლების კონსოლდაციის საკითხი, ე. ი. მოწაფეთა გამგზავრება სკოლაში საზოგადო ხარჯით და სამაგალითო, (ანუ ხანიძეშო) სკოლების გახსნა თვალსაჩინო ცენტრალურ ჰუნქებში. დიდი ყურადღება მიქცეული აკრედევე სკოლების ძველი შენობების ახლით შეცვლაზე, ვინაიდან ზოგიერთ მიყრუებულ სოფლებში სკოლების შენობები ჯეროვან-დ ვერ უზასუბებენ თავის დანიშნულებას. ზოგან ისინი პირდაპირ უბრალო ქოხს წარმოადგენენ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეთვალყურები მასწავლებლებსაც. სამხრეთის შტატებში თითქმის სჭარბობენ მასწავლებელი ქალები, რომელთაც ზოგჯერ არავითარი სპეციალ პედაგოგიური მომზადება არა აქვთ. გამოირკვა მასწავლებელთა პერსონალის მომზადების აუცილებლობა. ამ მიზნისთვის შეადგინეს და გამოსცეს საჭირო სახელმძღვანელოები პირველ დაწყებითი სკოლებში სწავლების შესახებ, რომელშიაც მოყვანილია ყველა მეთოდი და მათი ცხოვრებაში გატარების ზომები. რაც შეეხება სამაგალითო სკოლებს, შტ. კენტუკში მაგ. ყოველ ათ საგრაფოში არჩეულ იქმნა თვითო სკოლა, სადაც დაინიშნა განათლებული და დახელოვნებული მასწავლებლები. ყოველ ასეთ სკოლას მიეწერა 7—8 საოლქო სკოლა. და ყველა ესენი ერთად გადაეცა საგრაფოს სუპერ-ინტენდენტის მეთვალყურეობისა.



რეობის ქვეშ. გარდა ამისა დაინიშნა სათადარიგო მასწავლებლები, რომელნიც ვალდებული ირიან იმეცადინონ იმ სკოლებში, რომლის მასწავლებელნიც მიდიან სავარჯიშოთ ორი კვირით, ან მეტი ხნის ვადით თავიანთ ცენტრალურ სამაგალითო სასწავლებელში. 1913 წელს ამ სამაგალითო სკოლების რაიონში შედიოდა 200-ზე მეტი სოფლის სკოლა.

შტ. არკანზასში ყოველ 15 საგრაფოში არის გამართული თვითო სამაგალითო სკოლა. აქ არსებობს საგრაფოს საგანგებო სუპერ-ინტენდენტი, და მათზეა მიწერილი ასობით ადგილობრივი სკოლა.

შტ. მისისიპიში გამართულია 250 სანიმუშო სკოლა. ე. ი. გაუმჯობესებულია ჩვეულებრივი ადგილობრივი სკოლა და მიწვეულია სპეციალ მომზადების და სათანადო გამოცდილებით აღჭურვილი მასწავლებელი.

ბევრგან არსებობს სოფლის სკოლათა ადგილობრივ მეთვალყურის თანამდებობა. ამ თანამდებობაზე იწვევენ საზოგადოთ იმ გამოცდილთა და შესაფერ მომზადების მქონე მასწავლებლებს, რომელთაც სკოლის დათვლიერების დროს შეუძლიათ მისცენ საჭირო შენიშვნები და დარიგებები მიყრუებულ სოფლების სკოლების მასწავლებლებს. ვირჯინიაში ასეთ მეთვალყურეებად ინიშნებიან ადგილობრივი საუკეთესო მასწავლებლები, მათ გამგებლობაში შედის 3—4 სკოლა, რომელთაც ისინი დრო-და-დრო ნახულობენ და ადევნებენ თვალყურს ისე, რომ თავის საკუთარ საქმესა და თანამდებობასაც არ ანებებენ თავს. ამისთვის ისინი იღებენ მცირედ გასამრჯელოს პიბოდის ფონდიდან. ყველა ამ ადგილობრივ მეთვალყურეს სოფლის სკოლებისას, ეწოდებათ საგრაფოს სუპერ-ინტენდენტის თანაშემწე. ჩრდილოეთ შტატებში განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს საგრაფოს სუპერ-ინტენდენტის, საგანგებო თანაშემწეთა გონტიგენტი, რომელთაც უწოდებენ: „პროფესიონალურ მასწავლებლებს.“ იმათ მოვალეობას შეადგენს სოფლის სკოლების დათვლიერება და შემოღება ამ სკოლებში ადგილობრივ პირობებისა და მოთხოვნილებათა მიხედვით ხელ-გარჯილობისა, — ჭრა-კერვისა, მებაღეობა-მებოსტნეობისა, სამეურნეო კლუბების მოწყობა ბავშვებისთვის, პროპაგანდა სხვა და სხვა ხილველობისაგან მარინადების და კონსერვების გასაკეთებლად და სხვა.

აგრედვე დაარსება სხვა და სხვა საზოგადოებებისა სკოლის სა-

ქმეების გაუმჯობესებაში დასახმარებლად. ასეთ მეთვალყურეთა მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად არ ეხებოდა ზოგად განათლების საგანთა სწავლების პროგრამას, გამოდგა ფრიად სასარგებლო და დიდძალი შენიღობის სკოლის გაცხოველებასა და საზოგადოებაში მისდამი ინტერესის გაღვივებაში. მათ დიდი სარგებლობა მოაქვთ აგრეთვე მასწავლებელთათვისაც თავიანთი რჩევა-დარიგებებით, ვარდა სწავლების მეთოდებისა, შენობის მოვლასა და ჰიგიენის თვალსაზრისით მოწყობის საქმეში. მასწავლებლებიც სიყვარულით ეპყრობიან მათ და ნდობითა და სინარულით იღებენ მათგან რჩევა-დარიგებას.

პირველი ასეთი ტიპის მასწავლებელი იყო ნეგრი — რენდოლფი, რომელიც 13 წელიწადი მასწავლებლობა ნეგრების სკოლებში. მის გამოგებლობაში, როგორც პროფესიონალურ მეთვალყურისა, შევიდა 23 სკოლა ნეგრების სოფლებისა. მან თვისი მოღვაწეობის პირველ წლებშივე შეადგინა მშობელთა ლიგა, და მათი დახმარებით შესძლო სკოლის შენობების გაუმჯობესება და მასწავლებლებისთვის საჭირო ნაჭერი მიწების მოპოვება. მანვე შემოიღო მეურნეობის, ქრა-კერვისა და სხვა პრაქტიკულ საგნების სწავლება. საერთოდ მან მოახერხა სხვა-დასხვაობისა და ცხოველი ინტერესის შეტანა სკოლის ცხოვრებასა და მუშაობაში. მისი მოღვაწეობის გეგმით იქმნა დასახული საზოგადოთ პროფესიონალურ მასწავლებელთა მუშაობის გეზი. და მათი თანამდებობა შემოღებულ იქმნა ბევრ სამხრეთ შტატებში. ამ მასწავლებლებს ჯამაგირები სრულიად, ან ნაწილობრივ მაინც ეძლეოდათ „ჯენსის ფონდიდან“, რომელიც იყო დაარსებული სამხრეთ შტატების ნეგრების განათლების საჭიროებათათვის. უკანასკნელ წლებში „პროფესიონალური მასწავლებლები“ მიღებულია 117 საგრაფოში, რომელნიც შედიან სამხრეთ ამერიკის 12 შტატში. მათი უმრავლესობა, თითქმის $\frac{3}{4}$ ქალებია. ისინი მოგზაურობენ 7, 5, თვე და იღებენ 3,200 მან. ჯილდოს. სულ „პროფესიონალ მასწავლებელთა დასაკმაყოფილებლად. ჯენსის ფონდიდან იხარჯება წლიურად 357,825 მან. თეთრ კანიანებით დასახლებულ საგრაფოებში პროფესიონალური მეთვალყურეები უფრო ცოტა და ჯამაგირებიც ეძლევათ განათლების საერთო თანხიდან. პირველი მეთვალყურეები 1909 წ. ძალიან მხურვალედ მოეციდნენ საქმეს. სკოლების დათვალიერების დროს ისინი პირადათ ეცნობოდნენ მასწავლებლებს, შევირდებს და მშობლებსაც. ხშირად ნახულობდნენ მათ სკო-

ლაში და ოჯახებშიაც. სადაც-კი შესაძლებელი იყო, გამართეს საუბრები მეურნეობისა და ხელგარჯილობის შემოღების სარგებლობის შესახებ. აგრედვე სკოლის შენობების გაუმჯობესებისა და მიწის მოწყობის შესახებ. მათ მუშაობას საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდა და მათაც ეპყრობიან როგორც თავიანთ მოკეთე-მეგობრებს და სასარგებლო დამრიგებლებს.

ადგილობრივ მეთვალყურებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს სკოლების გარშემო ინიციატივის ზრდას. რაიცა გამოიხატა ასსოციაციების გახსნაში სკოლების საქმეთა გაუმჯობესების მიზნით. ამ ორგანიზაციების მიზანი არის 1) ყოველის მხრით გაუმჯობესობა და მოწყობა სკოლის შენობებისა და სკოლის მიწების, 2) ზრუნვა სანიტარულ პირობებზე. 3) მოწყობა და შესაბამება სკოლის ეზოებისა სათამაშოებისთვის და ბაღებისათვის. 4) ხეებისა და ყვავილების დარგვა სკოლის შენობისა და ეზოს დასამშვენებლად. 5) სკოლის გარდაქმნა სოციალურ ცენტრად და სკოლისადმი ინტერესის აღძვრა მცხოვრებლებში. ამგვარი ასსოციაციები მრავლად არსებობს ამ ქაშად როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ შტატებში. განსაკუთრებით ნაყოფიერად სწარმოებენ ისინი შტატ. მენე-სა და ალაბო-ში. ზოგიერთმა შტატებმა სახელმძღვანელოებიც გამოუშვეს ამგვარ ასსოციაციების მოსაწყობად, რომელთა მუშაობას განსაკუთრებულ დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ყველაზე სრული გამოცემა ეკუთვნის შტ. მისისისპის სახალხო განათლების დეპარტამენტს. ქ-ბ-ნმა პაუელმა შეადგინა აგრედვე წიგნი სკოლების გასაუმჯობესებლად ადგილობრივი და საოლქო ასსოციაციების მოწყობის შესახებ. მასში მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები, როგორ უნდა იმართებოდეს დღესასწაულები თვეების მიხედვით, სკოლასთან და სკოლის პროგრამასთან შეთანხმებით და წელიწადის დროთა მიხედვით. მაგ.: დღე სიწმინდისა და სიშვენიერისა—ოკტომბერში. დღე ჯანსაღობისა—ნოემბერში. წიგნთ საცავის დღე—დეკემბერში. მცენარეთა დარგვის დღე—იანვარში. დღე მინდვრისა—მარტში და სხვა.

ზოგიერთ შტატებში საგანგებოთ ჰყავთ აყვანილი პროპაგანდისტები ამგვარ ასსოციაციების დაარსების იდეის გასაფრცვლებლად. შტატების ერთ ნაწილს არც საგანგებოთ დაქირავებული პირები ჰყავთ და არც საგანგებო წესდება აქვთ ასსოციაციებისთვის, მაგრამ უბრალო

მოხალისეთა ინიციატივით არსდება ამავე მიზნის კერძო ჯგუფები.

სამეურნეო კლუბების მოწყობის საქმეც, — ორთავე სქესისათვის, კარგი ნიადაგი ჰპოვა შეერთებულ შტატებში და დღეს ასეთი კლუბები იქ ძალიან ბევრია. ამ კლუბებს ავრცელებს სამი ორგანიზაცია

1) სამიწათმოქმედო დეპარტამენტთან არსებული, — მცენარეთა შესწავლის ბიურო.

2) კოოპერატიულ — საცდელი ორგანიზაცია ფერმერებისა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ძლიერ გავრცელებულია ბამბის წარმოება და

3) საფერძო მეურნეობათა გაუმჯობესობის ბიურო.

ვაჭებისათვის აწყობენ მარცვლეულობის კლუბებს. კლუბის წევრი თვითონ თესავს თავის მამის მიწა-ადგილზე, უცლის ნათესს, ჰკრებს მოსავალს და თან იწერს ყოველგვარ ანგარიშებს. შემდეგ სასკოლო გამოფენაზე წარმოადგენს ხოლმე გამხდებულს და ხარისხებად განაწილებულ ნამუშევარს. მოსავალს ამოწმებენ: გადარწყვან, გადაწონიან და საუკეთესო ნაყოფისთვის აძლევენ ჯილდოს. 1912 წ. სამხრეთ შტატებში მარცვლეულობის კლუბების წევრად ირიცხებოდა 100,000 მოწაფე, ხოლო საბაღოსნო, მებოსტნეობის, ტომარებისა და სხვა ბოსტნეულის დამზადების კლუბებში ირიცხებოდა 30,000 წევრი გოგონა. თვითელი მათგანი ამუშავებდა $\frac{1}{10}$ დღიურ მიწას და მოჰყავდა სხვა-და-სხვა გვარი მოსავალი ოჯახისთვის და გასასყიდად. 16 შტატში არსებობს საგანგებო თანამდებობა სპეციალისტებისა, რომელნიც მხოლოდ მოგზაურობენ, ათვლიერებენ სკოლებსა და ხსენებულ კლუბების გასავრცელებელ აგიტაციას ეწევიან სოფელში. მათი მუშაობის უმთავრესი მიზანი არის შეაჩვიონ ბავშვები საოჯახო მუშაობას და ეკანონიას. მაგრამ ეს კლუბები სოფლებში გადაქცეულია პირდაპირ სკოლების ნაწილად. ყველაზე მეტი ადგილი უჭირავთ მათ სამხრეთ შტატებში.

ამერიკის ყველა უმაღლეს დაწყებითი სკოლების პროგრამაში შეტანილია სასოფლო მეურნეობა. აგრედვე დაბალ დაწყებით სკოლებშიაც არიან მიწათმოქმედების მასწავლებლებიც. სოფლის სკოლებში ამ საგნებს გადიან უფრო პრაქტიკულად, ქალაქებში — მხოლოდ ბუნების მეტყველების სახით. იმ მიზნით, რომ სკოლები უფრო დაუახლოვონ ოჯახს და, აგრედვე შეგირდები წააქეზონ სასოფლო მეურნეობის შეს-

წავლაში, ხსენებულ კლუბების წევრობის გარდა, მათ ეძლევათ ერთ-ვეარი მოწაობა ოჯახური სამუშაოების კეთილ-სინდისიერად შესრულებისათვის. ასეთი მოწაობა ორგვარია.

1—სურვილისამებრ ამორჩეული და განსაზღვრული საქმე სრულდება მოწაფის მიერ ოჯახში, სკოლის მეთვალყურეობის ქვეშ. სკოლიდან მოწაფე ღებულობს წასაკითხად ამისთვის შესაფერ მასალებს, საჭირო რჩევა-დარიგებებს, ზოფჯერ გადიან საამისო მკორე კურსსაც. უმაღლეს დაწყებით სკოლების შეგირდები, რომელნიც ისმენენ სამეურნეო კურსებს, ვაღდებულნი არიან შეასრულონ რაიქე აუკილებელი სამუშაო ან შინ, ან სკოლის მიწაზე. ამ შემთხვევაში მუშაობა სწარმოებს მეთოდითრად. ოჯახური სამუშაო-კი სავაღდებულო არ არის, შავრამ ვინც-კი იკისრებს მას, მოვალეა ბოლომდე მიიყვანოს, თუ-კი სურს მიიღოს მონაწილეობა საბრემიო კონკურსში, რომელიც იმართება სკოლაში. ამ ტიპის სამუშაო არას შემდეგი.

1—ა) ზღუდიო შემოფარგვლა საფრინვლისა.

ბ) მოყვანა რომელიმე ჯაშის კარტოფილისა, ან სხვა ბოსტნეული ნაყოფისა.

გ) ყოვეოვგარად მოვლა ერთი, ან ორი ძროხისა განსაზღვრული ხნის განმავლობაში. გოგონებმა კი ამას გარდა უნდა შეასრულონ სამუშაო კრა-კერვაში.

2—მეორე ტიპის სამუშაო ე. წ.—საოჯახო, ყოველ დღითრად შესრულებული თავის სახლში, ან ფერმებში მშობლების დასახმარებლად, სწარმოებს მხოლოდ მშობლების ხელმძღვანელობით და მათ-მიერე უნდა იქმნეს შეფასებული. ბარათი საოჯახო მუშაობის შესახებ, შედგენილი შეგირდის მიერ და მშობლის-მიერ ხელმოწერილი, დილით უნდა მიტანილ იქმნას სკოლაში და გადაეცეს მასწავლებელს. მუშაობის ხასიათი ასეთია.

ა)—ძროხის მოწველა 5 წუთში.

ბ)—ცხენის დაურეგება 10 წუთში.

გ)—საუზმის მომზადება მთელი ოჯახისთვის $\frac{1}{2}$ საათში.

დ) დარეცხვა და მილაგება ჭურჭლებისა 15 წუთში.

და სხვა... ეს საქუშაოც არ არის სავაღდებულო, მათ მხოლოდ თავის ნებით კისრულობენ. განსაზღვრული ხნის განმავლობაში იმართება საერთო შემოწმება ნამუშევართა და ყოველ 6 შეგირდში ერთი

ღებულობს ჯილდოს სამუშაოს უკეთესად და უფრო სწრაფად შესრულებისთვის.

ორთავე ტიპის სამუშაოები ნაწილობრივ შემოღებულია თითქმის ყველა შტატში. განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული სასკოლო საოჯახო მთლიანი სამუშაო შტატ. — მასსაჩუქრეტ-ში, ხოლო წვირლმანი საოჯახო საქმეები შტ. — ორეგონში.

აგრე მოკლე წერილში შეუძლებელია დაწვრილებით შეჩერება ყველა იმ საინტერესო და სხვა ქვეყნებში უცნობ საშვალეებზე, რომელიც შემოღებულია შეერთებულ შტატებში სკოლის დასახლოვებლად და მჭიდროდ დასაკავშირებლად ოჯახთან, მეურნეობასთან — ცხოვრებასთან. ამ წერილში მოყვანილია მხოლოდ ზოგადი, ტიპური ზომები...

1910—13 წლებში შესამჩნევად გაიზარდა სპეციალური ლიტერატურა სოფლის სკოლებისა და მათი ადგილობრივ ცხოვრების პირობებთან შესაბამისი შესახებ. ეს იმის ნიშანია, რომ იქ ფართო ყურადღების ღირსად არის მიჩნეული სახალხო სწავლა-აღზრდის საქმე და სწრაფი ნაბიჯითაც მიიღტვის წინ ეს საქმე. თითქმის ერთდროულად გამოვიდა რამდენიმე წიგნი: „სოფლის სკოლა და სოფლის ცხოვრება“ მ. კერნეი-სა. „სოფლის სკოლები“ გ. სერლეი-სა. „ვაჟები და ქალები ფერმებში“ — ლ. ბეილი-სა და სხვა.

აგრედვე გამოცემულია ურიცხვი ანგარიშები, სახელმძღვანელოები, ფურცლები და სხვა ოფიციალური გამოცემები ყველა შტატებში. დიდი საგანმანათლებლო საზოგადოებანი, — ნაციონალური ასსოციაცია განათლებისა, დედათა კონგრესი, განათლების საზოგადოება და სხვა, თავიანთ წლიურ კრებებზე დიდი ყურადღებით ეპყრობიან სოფლის სკოლებსა და საერთოდ სოფლის ცხოვრებას. მაგ. 1911 წ. ვაშინგტონში შედგა კონგრესი სპეციალურად სოფლის ცხოვრების საკითხთა განსახილველად. ყველა ესენი და აგრედვე სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი დიდ შრომას ეწევიან აგრედვე უფროსებშიც სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად.

(ჟურ.: „Учитель и школа“).

ილ. გოგია.

უძველესი აღმოსავლეთი და თანამედროვე სკოლის მძაბლი მიზნები *).

ა. საშინელ პირობებში გვიხდება შემოქმედებითი მუშაობა:

ბოროტ საფუძველზედ აგებულმა საერთაშორისო ურთიერთობამ კაცობრიობა მსოფლიო ომამდე მიიყვანა, — მსოფლიო ომმა კი საერთაშორისო გარდაქმნა-გარდახალისებადღე. ამ მოვლენათა ერთ-ერთ რგოლს რუსეთის რევოლუციაც შეადგენს. იქ — რუსეთში — ცხოვრების საფუძველთა სისაძაღლე არა მარტო საერთაშორისო საზღვრებზედ მძვინვარებდა, არამედ თვით შიგ ამ რგოლში მოქცეულ ხალხთა და პიროვნებათ აწამებდა. აი მიზეზი დიდ რუსეთის მინდვრებზედ აზვირთებულ გარდაქმნის ტალღათა დაუცხრომლობისა და სიმწვავისა! ამ ბრძოლის მძაფრი მიმდინარეობა დღესაც ტალღას ტალღაზედ ახლის ოთხთავე ფრთას ქვეყანისას და ამ ტალღათა ჩქეფები იალბუზის და ყაზბეგის მაღალ გულ-მკერდზედ გამოძახილს პოულობს მამისონის უღელ-ტეხილზე და დაღესტანის ხევ-ხუვებში...

ბ. სკოლა საღი შეიძლება იყოს მხოლოდ ეროვნულ-სულიერ კულტურაზე დაყრდნობით.

აი, ამისთანა პირობებში დღეს ქართველ ხალხს დიდი შემოქმედებითი მუშაობა უხდება; ცხოვრების ყოველ დარგში დიდი საქმიანობა სწარმოებს, მაგრამ ჩვენ ყურადღებას განსაკუთრებით სახალხო განათლების დარგი იპყრობს, რადგანაც განათლების საკითხი ხალხის ცხოვრებაში რთული და საპასუხისმგებლო საქმეა და მისი არამც თუ საბოლოოდ გადაჭრა, არამედ მხოლოდ კითხვის სწორედ დაყენებაც კი დღევანდელ პირობებში დიდ ბედნიერებად და გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

*) საშუალებას ვაძლევთ ავტორს გამოსთქვას თავისი აზრი წერილში აღძრული საკითხის შესახებ; სტილი და მართლ-წერა ავტორისაა დაცული. რედაქცია სიამოვნებით მოათავსებს ყველა იმ წერილს, რომელიც ბ. ჯიშკარიანის მიერ წამოყენებულ მოსაზრებათა განხილვას დაისახავს მიზნად.



კითხვა განსაკუთრებით რთულდება, როდესაც ჩვენ მოვინდომებთ მის ვარდაწყვეტას საქართველოს მომავლის მიხედვით. . .

როდესაც ახალგაზრდა ევროპა საშუალო საუკუნეებში სკოლას ქმნიდა, მას მიზანი სკოლისა სრულიად გამორკვეული ჰქონდა: „ბარ: ბაროსობის განდევნა ევროპიდან“. ამის მისახწყვე საშუალებად კი კაცობრიობამ სრულიად ბუნებრივად პირველ-ყოფილ გრძნებით, — ალღოთი მიიჩნია ძველ ბერძენთა და რომაელთა სიტყვიერება და მეცნიერება. ევროპიელნი არჩეულმა გზამ მალე დაარწყმუნა, რომ როგორც ბერძნები, აგრეთვე რომაელები მათი უფროსნი ძმანი ყოფილან და ამ შეგნებამ კი ისინი აამალლა, გააამაყა.

რასაკვირველია. ასეთ პირობებში სკოლა ადვილად ახერხებდა ბერძენთა და რომაელთა ნაღვაწყით უაღრესად განევეითარებია და გამეტკიცებია ადამიანის საუკეთესო თვისებანი — **მაღალი გონება და ფაქიზი გული**. სრული ჭეშმარიტებაა, როდესაც თავის მოხსენებაში ბ. განათლების მინისტრის ამხანაგი მინისტრთა საბჭოს*) უსაბუთებს დებულეზას: „რომ კლასიკურ კულტურის მაგიერ შეიძლება საშუალო ჰუმანიურ სკოლას ახალი ევროპიული კულტურა დაედვას საფუძვლადაო“, რადგანაც, დაურთავ მე, ახალი ევროპიული კულტურა, ესე იგი ზნეჩევეულება და წეს წყობილება, არის იგივე ელინთა და რომაელთა კულტურაზე აღმოცენებული ღირებულება, დროს და პირობების მიხედვით სათანადოდ გღრმავებული და გაფაქიზებული. ახალ ევროპიულ კულტურაზე აღმოცენებულ სკოლაში სრულად აღიზრდება ევროპიელი თუნდაც აზიაში, ან სხვა მიდამოში მოქცეული, რადგანაც ის აქ ნახავს თავის სულიერ სიდიადის ტაძარს, რომელიც მას აღამალლებს, გააფაქიზებს. ჩვენ, ქართველები კი, რას ვიგრძნობთ ამ გვარ სკოლაში? ამისთანა სკოლა ჩვენ ვერ შეგვაგუებს და ვერც ჩვენ შევევუებით მას — ეს სკოლა ჩვენ გუოს ვერ მოგვინახავს, ვერ გაგვათბობს — პირიქით ამისთანა სკოლა ჩვენ სრულიად დაგვიკარგავს თავის იმედს, მოგვისპობს სხვა ხალხთან შედარებით თანასწორობის გრძნობას და ძალაუნებურად მიგვიყვანს იმ სასოწარკვეთილ დასკვნამდე, „რომ ჩვენ, პატარა საქართველო, ვერასოდეს ვერ გავხდებით დიდი ერების მასწავლებლად და ყველაფერში განათლებული ევროპის მოწაფენი ვიქნებით,

*) იხილე „საქართველოს რესპუბლიკის“ მე. 177 №-ი.

აქეთ ბევრი დასწავლა გვჭირდება და ბევრსაც ვისწავლით, მაგრამ ეს კი საეჭვოა, რომ ვანმეს იქით დიდი რაიმე ვასწავლოთ*), ამას ვამბობთ იმ ხალხის შესახებ, რომელმაც, მიუხედავად ოცდახუთი საუკუნის**) განმავლობაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ საუკუნეს, სახელდობ მე-XI და მე-XII-ე მონობის უღელ-ღვეშ ყოფნისა, შეინარჩუნა მაღალი ღირსების სულიერი კულტურა-აღამიანობა და წესრიგის დაცვის ალღო იმა თანა სიმაღლისა და შევნებისა, რომ თვით მისი ბელადები, ამ ხალხის შვილები, დღემდე გაკვირებულნი არიან, თუ საიდანაა, რომ თავისუფლება და წესრიგი ერთი მეორეს ასე ადვილად და საოცრად შეეგუა იქ, სადაც წმინდა ქართველობაა!

*) „საქართველოს რესპუბლიკის“ № 149 1919 წლისა.

**) მსოფლიოს წარსულის მეცნიერებამ დღეს გარკვევით იცის, რომ დასავლეთ მცირე აზიის ქართველები: ტაბლნი, მესხნი, და კოლხები დაახლოვებით შერეე საუკუნის მიწურულში ქრისტეს შობის წინ მსხვერპლად იქცნენ არიელ-თა მოდგმის ხალხთა ველურ კიმერელთა მიმინვარებისა. კიმერლები სცხოვრობდნენ სამხრეთ რუსეთში, საიდანაც ისინი განდევნა თურქესტანიდან ურალის სამხრეთით მოსულმა საკებმა=საკებმა=სკიფებმა. ნაწილმა კიმერლებისამ მოახეზა დაჩენა ყირიმში, ნაწილი კი გადიდა ურაკით მცირე აზიაში და დაახლოვებთ 750 წ. ქრისტეს შობას წინ ააოხრა სინოპი. ამ ხალხს ასირია იცნობს „გიმირაის“, ურიები კი „გომერის“ სახელით. სრულიად ცხადაა, რომ ქართული „გირი“, გმირვა, გაგმირვა წარმოიშვა ამ ხალხთან მწვავე შეხლისას ჩვენ თქმაში.

მთელი საუკუნის განმავლობაში ამ ხალხმა აწმა მცირე აზია—მაშინდელი კულტურული კაცობრიობა. დაახლოვებით მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტეს შობის წინ არაქსის და მტკვრის შუა უკვე ჩნდებაან ზემოდ ხსენებულნი საკები=საკებები=სკიფები, რის გამო ამ მხარეს ძველად ერქვა საკასენი. საფაქრებელია, რომ სკიფები მოვიდნენ ამ მხარეში დარუბანდით ანუ დარაღანით. ქართულ ენაში სიტყვა „სკიფი“ ნიშნავს ვერცხლის საჩხირეს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ ხალხის სახელწოდებასთან.

დაახლოვებით ამ ხანებშივე არიელთა მოდგმის ხალხი მიდიელები ბინადრებიან კასპი ს ზღვის სამხრეთით. მათი წყალობით მეშვიდე საუკუნის მიწურულში ქ. შ. წინ ქართველთა ხალხთა, კულტურული ბუდეები სამხრეთით მდებარენი სრულიად მოიშალა და ვინც დაღუპას გადარჩა, კავკასიის ხევ-ხუვებს შეეფარა.

მას აქეთ ქართველ ხალხს თავისუფალი ცხოვრება არ ღირსებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მე XI და XII საუკუნეებს ქრისტეს შობის შემდეგ.




ცხადია, რომ მხოლოდ ამ სულიერ კულტურის შემცნობი და მასზედ დაყრდნობილი სკოლა შეიძლება გარდიკცეს ქართველი ხალხის გზის გამაშუქებელ მნათობად.

ამ კულტურის თვისებათა ახსნა-შეწვევა, ჩვენის ფიქრით, თვით ხალხის უძველეს წარსულში უნდა ვეძიოთ, იმ წარსულში, რომლის შესწავლა-გათვალისწინება აუცილებელი პირობაა არამც თუ საზოგადო, არამედ პირად საკითხების სათანადოდ და ჯეროვანად გადაჭრისათვისაც. ამ ჩვენი წარსულის განართხი ანუ დღევანდელი თქმით, ისტორიული პერსპექტივა, თანამედროვე მეცნიერების შემწეობით არც ისე ძნელი წარმოსადგენია, როგორც ეს ჩვენ გვეჩვენებოდა სულ ოცი-ოცდახუთი წლის წინად.

გ. ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურა, დიადი თავის დღემდე შენარჩუნებულ თვისებებით, წარმოშობილია უძველეს აღმოსავლეთის წიაღიდან.

დედა-მიწის ნაფენების თანდათანობითი შესწავლამ მეცნიერებას მისცა საშუალება დღეს უკვე გადაჭრით გამოთქვას ის აზრი, რომ დაახლოებით ათასი საუკუნეა მას შემდეგ, როცა ადამიანი ბუნების წიაღიდან წარმოიშვა და იმ ათასს საუკუნეში მხოლოდ უკანასკნელ სამოცდაათ საუკუნეს აქვს გარკვეული ისტორია. ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების უძველეს წყაროებად დღეს წარსულის მეცნიერება სთვლის მექსიკას და პერუს, ამერიკაში ევროპიელთა მოსვლამდე, ჩინეთს, ინდოეთს, შუმერეთს, ე. ი. შუამდინარის სამხრეთ ნაწილს ბაბილონიდამ სუზამდე და ყივთეთს ანუ ეგვიპეტს. მდებარეობითი სიახლოვემ ეს ორი უკანასკნელი წყარო ზნე-ჩვეულებისა და წეს-წყობილებისა ადრე შეაჯახა ერთმანეთს და ამ შეჯახებამ შექმნა ის ცხოველი ნარევი კულტურა, რომელიც ბერძენთა და რომაელთა შუამავლობით დაედვა საფუძვლად თანამედროვე ევროპიელთა ცხოვრებას. შეუწყნარებელ სიბრძევეთ უნდა ჩაითვალოს ის აზრიც, ამბობს თანამედროვე მეცნიერება, თითქო ზემოხსენებულ ნარევი კულტურას მართო სარწმუნოებრივი გავლენა მოეხდინოს მსოფლიო ისტორიაზეო: ამ წყარომ ბევრი სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნანი შესთავაზა თავის სალაროდან ამაყ საბერძნეთს და მაშასადამე, მთელ თანამედროვე მოწინავე კაცობრიობასაც... თუ ჩვენ ქართველები ამ ზნე-ჩვეულებათა



წყაროს ერთ-ერთ შექმნილ ხალხად არ ჩავითვლებით, ჩვენი მკიდრო ნათესაური კავშირი მასთან მაინც თვალ-საჩინოა და მისაღები...

ქართველობას სრულიად რომ არ მოეპოვებოდეს თავის წარსულის შესასწავლად წყაროები გარდა ქართული ენისა, მაშინაც შესაძლებელია ამ წარსულის აღდგენა, თუ ჩვენ დაახლოვებით გავითვალისწინებთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიულ განართხს: „ჩვენში გავრცელებული ქალის სახელი „ნინა“, ვამბობდი მე ერთ ჩემ გამოკვლევაში*) სუმერულად ნიშნავს ქალ-ბატონოს. სუმერეთში კი, ე. ი. შუამდინარის სამხრეთ ნაწილში ბაბილონიდამ სუზამდე, ყოველ ქალაქს ყავდა თავისი ქალღმერთი „ნინად“ წოდებული. საფიქრებელია, სუმერთა „ნინოს“ თაყვანება დაედვა საფუძვლად ჩვენ ხალხში ქალთა მიმართ გამეფებულ თაყვანიანობას. ქართულმა ენამაც განიცადა ქალის თაყვანების გავლენა: მდებრებით სქესს პირველი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ თქმაში-ქალ-ვაჟი, და-ძმა, დედ-მამა, ცოლ-ქმარი. განსაცვიფრებელი ის არის, რომ ეს მოვლენა დაკულია პირუტყვთა სამეფოსთვისაც: დედალ-მამალი და არასოდეს ქართველი ამ ორ ცნებას გადასხმით არ დააწყობს, არ დაალაგებს. შეიძლება ამ უძველეს რწმენის ქსელზედ დამუშავდა ჩვენში ნიადაგი წმინდა ნინოს მოსავლენად და საქართველო გახდა ღვთის მშობლის ხვედრად. ამის მიხედვით ამაყი და უდრეკი ქეთევანი და დიდი თამარი სრულიად ბუნებრივია“. ეს დაკვირვება უნდა ჩაითვალოს დამახასიათებლად მთელი ჩვენი ეროვნულ სულიერ არსებობისათვის**).

სულ უბრალოდ, მარტივად დაკვირვებამ შუმერეთში მიგვიყვანა, იმ ხალხის ქვეყანაში, „რომლის ნაზრევი და ნაგრძნობი გარდიქცა მთელი ძველ და ახალ კაცობრიობის მამოძრავებელ და გამაერთიანებელ ძალად: პირველად აქ ამაღლდა აზრი ღვთაებამდე—ხანგრძლივმა დაკვირვებამ აღამიანს აქ საზოგადოებრივ წესწყობილებამაც ოჯახური წეს-რიგი გადაატანია და გააბატონებია: აღამიანმა აქაც, საზოგადოებრივ წეს-წყობილებამაც, განამტკიცა მეფე-მამა, მეფე-დედა და მეფის

*) „სახალხო“ 1916 წ. № 720.

**) თუ ეს ასეა, ყველა ის უქმეები, რომელთაც დღემდე მოუხწყევია ქალის სადიდებლად უნდა აღდგენილ და დაკულ იქმნას, როგორც ჩვენი ეროვნების დამახასიათებელი, მით უფრო რომ ხალხი განსაკუთრებულ სათნოებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობა ამ გვარ უქმეებს.



წული. ხანგრძლივმა გამოცდილებამ ხალხი დაარწმუნა ამ გაბატონების სარგებლიანობაში და ეს ოჯახური წეს წყობილება თვით ზესკნელში — ზეცაშიაც აგულისხმებია: იქაც მამა, დედა და ძე. ასე ამნაირად სუმერთა ყოველ ქალაქში შეიკრა საზოგადოებრივი წეს-წყობილების სამსართულიანი ციხე-გოდოლი, ოჯახურ მცნებაზედ აგებული“ ეს მოხდა დაახლოვებით 40 ანუ 50 საუკუნით ქრისტეს შობის წინ. ამ დროის სამხრეთი ევროპიელნი შიშველ-მართალნი სრულიად ველურებად გვესახება, ჩრდილოეთი ევროპა კი ყინვით უნდა ყოფილიყოს მთლად მოცული...

სუმერთა ზნე-ჩვეულებასა და წეს-წყობილებასთან ჩვენ ქართველებს ბევრი რამ გვაქვს საერთო. არის მიმართულება მეცნიერებაში, რომელიც ჩვენსა და სუმერთა შორის ნათესავეურ კავშირსაც კი გულისხმობს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს ისიც საკმარისია, რომ ამ პირველ ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების წყაროსთან ჩვენ ძალიან ახლო ვიყავით; ქართული ლამაზი და სუმერული „ლამასუ“, რაც ნიშნავს ღვთის მოციქულს, ანგელოზს, მათი „პატერი“ და ჩვენი „პატიოსანი“ შინაარსითაც ძალიან ახლო დგანან.

„ქართული დაღრეჯილობა, უსაზღვრო კაემანი და ჩვეულებრივი ცხოვრების ყალიბი: „ამის მეტი რა შეძრჩებოა“ და სუმერთა მსოფლმხედველობა ერთიდაიგივეობის ნიშნით შეგვიძლია დავაკავშიროთ: ლურსმული თქმულებით ერეხელი გმირი „გიში“*) კმუნვარებით შეპყრობილი ჰგოდებს:

„ეა-ბანი, ჩემი სათუთ მეგობარი, წავიდა იქ,

საიდანაც არა კაცი არ დაბრუნებულა“

და ზარ-დაცემულმა გრძნეულ ქალს მიმართა თხოვნით: განუმარტოს მას სიკვდილის და სიცოცხლის მნიშვნელობა და საიდუმლოება.

„ხალხის ხვედრია სიკვდილი,

მუდმივ სიცოცხლე კი ღვთისა“ო

უპასუხა მისანმა ქალმა და დაუმატა სასოწარკვეთილ გმირის დასამშვიდებლად:

*) ნუხას ჩვენი წინაპარნი „გიშს“ უწოდებდნენ—გიშის სამღვდელ-მთავრო ტახტი ვააუქმეს არაბებმა—გიშის გუშმათიანი ტაძარი ღღესაც პარგად არის შენახული—თვით მე ვნახე 1909 წელში—ზაფხულში.

„შენ კი, გიშ, სტომაქი გაივსე
 და დღე და-ღამე იქეიფე
 ცის მარე დღე იზადიკე

ტურფა ქალი გვერდს მოიგდე“

რასაკვირველია ამ პასუხმა სული ჭირვეული გმირისა, დამწვიდების მა-
 გიერ, უფრო შეაჭმუნვარა-ააშფოთა...

ამ წყაროსთან ამოძრავებულმა ქართულმა აზროვნობამ მიწაზედ
 მიჯაჭვულმა მოგვცა ორი ფშანი მსოფლმხედველობისა: თუ უკვდავე-
 ბა ღვთაებათა ხვედრია, აქ დედამიწის ზურგზედვე, სააქაო საშუალე-
 ბათა შემწეობით ადამიანმა შეძლებისდაგვარად უნდა განაუკვდავოს
 თავისი არსებობა-

ამ ნაკადს ქართულ მსოფლმხედველობისას დიდებულმა ქართველმა
 მხოლოდ მე XII საუკუნეში მისცა დიადი სიტყვიერი ნაქვთი:

„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ და თუ ეს არ
 ხერხდება სიცოცხლის ფარგალში, მიუხედავად იმისა რომ „არა არს
 აღდგომა, არცა ანგელოზი, არცა სული“ და ადამიანს სიკვდილით
 მოელის სრული მოსპობა, ფაქიზ ბილიკზე დამდგარი აზრი თავისთავად
 შეიჭრა უუმწვერვალეს წრეში სიბრძნისა და მშვენიერებისა და შექმნა
 თავისებური ნაქვთი ცხოვრებისა:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“...

მეორე ჭევლმა ქართულ მსოფლმხედველობისამ კი სულ სხვა ხა-
 სიათი მიიღო: რამდენადაც პირველი მომზიბლავია თავის აღმაფრენით,
 იმდენად ნეორე შემადრწუნებელია ცხოვრების გამარტივებით: მიწიერი
 სიტკბოება—ღვინო—თრობა—უკანასკნელი იმ სიმძაფრისაა, რომ თვით
 ქართულ თქმაშიაც ექვს საფეხურიანი მკაფიო კიბე შექმნა: პირველი
 შესავალი კაცთა სიმთვრალისათა“, მორცხვად აღნუსხავს ჩვენი სიტ-
 ყვათა კონა, „არის ბრუფობა, მეორე მთვრალობა, შემდეგ ლექა.....
 ღრეულობა, მებრუფკობა და ბოლოს ანკანაკება. ეს მრავალ მმეტყვე-
 ლი კიბე საოცრად შეეხამების მეცნიერების იმ აზრს, რომ ღვინოს
 ჩვენ მივეციოთ სახელი და დღეს ყველა ხალხი ამ ძირილამ აწარმოებს ამ
 საგნის აღსანუსხავ სიტყვას. კილიკიაში*) ივრიზის კლდეზე გამოწახნა-

*) კილიკი ლურსმულ წარწერით იწოდების წმინდა ქართული სიტყვით:
 „კიდე“. საფიქრებელია აქ ქართველთა მონათესავე ხალხი სცხოვრობდა დაა
 ხლოვებით არა უგვიანეს მე-VIII საუკუნისა ქრისტეს შობამდე.

გებულ ნაყოფიერების ღვთაებას ყურძნის აკილა ამშვენებს, რაც იმის მომასწავებელია, რომ მცირე აზიაში მევენახეობა სოფლის მეურნეობის უუძველესი დარგი იყო და მაშასადამე ამ დარგში საქმიანობა მალალ საფეხურზე იდგა ქართველთა მონათესავე ხალხთა შორისაც, რაც იქიდან მტკიცდება, რომ მიუხედავად ჩვენ მიერ სამშობლო არემარესი რამდენჯერმე გამოცვლისა, ჩვენი იძულებითი მოძრაობის დროს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, ამ დარგში სხვების დაუხმარებლადაც საქმიანობას დღემდე ჩინებულად ვაწარმოებთ...

ჩვენ აქ შეეჩერდეთ მხოლოდ იმ კვანძ-ნასკვებზე, რომელიც დამახასიათებლად უნდა ჩათვალოს ჩვენი ცხოვრებისათვის, რადგანაც ზოგადი აზრი ჩვენი ზნე ჩვეულების და წეს-წყობილების მჭიდრო კავშირისა უუძველეს აღმოსავლეთთან იმდენათ თვალ-საჩინოა და მარტივი, რომ იგი დღეს გამხდარა სასკოლო-სამოსწავლო მასალად.

გვაქვს დაკვირვებანი, რომელნიც უფლებას გვაძლევენ გადაჭრით ვსთქვათ, რომ კავკასიის ყველა ხალხი, გარდა თურქთა და მანგოლთა მოდგმისა*), სცხოვრობდა გაცილებით უფრო სამხრეთით და შეადგენენ თუ ძუაგულს არა, განაპირა ნაწილს მაინც იმ ზნე-ჩვეულების და წეს-წყობილების ბუდისას, რომელსაც დღეს მეცნიერება იცნობს „უუძველეს აღმოსავლეთისად“.

ამ კულტურულ წყაროს შესწავლა შეგრძნობა უნდა გარადიქცეს დროებით, ახალ ქართულ კულტურის შექმნამდე, რომელიც იქნება შედეგი ჩვენი განუწყვეტლივ დასავლეთთანა ურთიერთობისა, ქართული სკოლის ერთ-ერთ მალალ ძირითად მიზნად და მაშასადამე საფუძვლად ჩვენი სულიერ განვითარებისა...

ამ კულტურულ ბუდის ღირებულება და განუსაზღვრელი მნიშვნელობა უკვე ძველმა რომაულმა ხალხმა გაბედულად აღნიშნა: „აღმოსავლეთიდან ნათელია“ — ex oriente lux და ამ ნაირად თავის კრძალვა და მოწიწება გამოამყდა თავის დიად მასწავლებლისადმი, ძველ აღმოსავლეთისადმი.

*) პირველი შემოიჭრნენ ძველ აღმოსავლეთის ფარგალში მე XI საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტეს შემდეგ, მეორენი კი მე XIII საუკუნის დასაწყისში. ამათი სიხვეცე იმდენად სასტიკი იყო, რომ პატარა ერებს დღემდე ეშინიანთ აღმოსავლეთისკენ პირის ქმნისა.

არა ნაკლებ ყურადსაღებია გამოჩენილ ფრანგ-მეცნიერის, შარლ ჟიდის, უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული აზრი: „სული აღმოსავლეთი და ვიგრძენ, რომ წერილი იგი მოსული იყო იმ ქვეყნიდან (საქართველოზეა ლაპარაკი), რომელიც დასავლეთ ევროპის მცხოვრებთათვის ახლაც წარმოადგენს კაცობრიობისათვის წამებულ ამირანის განთქმულ მითოლოგიურ მხარეს. მაღლი მას, რომ იქ ანთებულმა კოცონმა გააშუქა მთელი ქვეყნიერობა და ყოველი ეპოქა. ამ მშვენიერ ქვეყანას ჩვენ მისგან მალეულზე გაცილებით ნაკლებ სინათლეს ვაძლევთ და აი ახლა, უკეთესის მოლოდინში, მას უბრუნდება ნაპერწკალი „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების სახით“.

აი რა იგრძნო და სთქვა უმწვერვალეს საფეხურზე მდგომმა თანამედროვე განვითარებულმა ევროპელმა, როდესაც ზედიზევით შეისწავლა ძველი აღმოსავლეთი და მისი მნიშვნელობა მთელი ქვეყნიერობისათვის!

ჩვენი თანამედროვე საზოგადოების შეგნების შინაარსში კი ამის მსგავსი არა არის რა: თვის თავის უძველესი წარსულის შეცნობის და შეგრძნობის მაგიერ, ჩვენ თავისუფლების ხანაში მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამ მწვავედ განვიცადეთ—საშინელი ჩამორჩენა თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე ხალხთა შედარებით*), რაც მძლავრ წადალად მკაფიოდ და სხარტულად შემდეგ ნაქვთში ჩამოყალიბდა: ევროპიელთა თავისუფალ ოჯახში თავისუფალ და სწორუფლებიან წევრად შესვლა და ამ ფაქტით შეკვეთება მის კულტურასთან, მის დიდ ცივილიზაციასთან.***) ღიღებულის და მართებული წადალა ევროპიელთა ცივილიზაციის და დიად კულტურის გათანაზიარება, მით უფრო რომ უუძველეს აღმოსავლეთურია, მაგრამ ამას აუცილებლად წინ უნდა წარუძღვანოთ იმის შეგნება, რომ თვით ჩვენში დიად სულიერ კულტურის ნაშთსა აქვს ადკილი: ქართული ადამიანობა***), დღევანდელი თქვით, ღუქანიური თვისებანი, დღემდე შენარჩუნებულნი, განსაკუთრებულნი მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე ვსთქვით, ოცდახუთი საუკუნეა, რაც არიელთა და შემდგომ მე-XI და მე-XIII საუკუნეში, თუ-

*) „საქართველო“ 113 №-ი 1919 წ.

**) „Вопросы“... 11 მაისი 1919 წ.

***) „სახალხო“ 759 №-ი 1920 წ.

რქთა და მონგოლთა მონათესავე შიშველ-მართალი, ველური ერები შემოიჭრენ ძველ აღმოსავლეთის ფარგალში, დაარბიეს და ააფორიქეს მთელი მაშინდელი მოწინავე ხალხთა შრომით და ღვაწლით შექმნილი ღირებულებანი და ჩვენ ქართველები ტანჯულნი და წამებულნი შეგვრეკეს კავკასიის დელე-ტყეებში და იქაც განუწყვეტლივ თავის ბირველ-ყოფილ მძვინვარე მტარვალობით გვეჯიჯგინდნენ და გვბილწავდნენ შეუბრალებლად!

ამ ხნის განმავლობაში ყოველი მხარე ჩვენი ცხოვრებასა დახშული იყო და ჩათეთქილი და მხოლოდ დღეს სასტიკ ხანგრძლივ ტანჯვის შემდგომ საშუალება მოგვეცა დელე-ლულეებიდან გამოვიდეთ და გავნარგძოთ დიადი გზა ადამიანურ საქმიანობისა და კეთილცხოვრებისა, რასაც, სხვებთან შედარებით, წარჩინებით ვახერხებთ, რადგანაც თვით ხალხში ვპოვეთ უუძველესი ნაშთი საზოგადოებრივი წესრიგის აუცილებლობის შეგნების და გრძნობათა აღმაფრენისა...

ერთხელ კიდევ გვიხდება იმისი თქმა, რომ დღევანდელ მის მაწაწყალზე საქართველოს მეცნიერება იცნობს დაახლოვებით ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორი საუკუნის განმავლობაში გვეღირსა შედარებით თავისუფალი ცხოვრება, მე-XI და მე-XII საუკუნეებში, მაგრამ ამ მოკლე ხნის განმავლობაშიაც ქართულმა ძლიერმა სულიერმა კულტურამ შექმნა ნაწარმოები, რომელმაც გარდალახა ეროვნული საზღვრები და იქცა საერთაშორისო საუნჯეთ და ეს კი, ჩემის ღრმა რწმენით, მოხდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო მე-XII საუკუნეში დარჩა აღმოსავლეთურ განცდათა ფარგალში და მით ღრმად და მწვავედ შეიგრძნო თავისი ჩამომავლობითი ნათესაური კავშირი დიად ძველ აღმოსავლეთთან.

ცხადია, რომ ქართველი ხალხი ამ გზას სრულიად ვერ დასტოვებს, თუნდა სრული კუმარიტება ისიც, რომ ჩვენთვის ევროპაში წასვლაც აუცილებელია—აუცილებელია ნივთიერ კულტურის-ტექნიკის შესაძენად, შრომის ჩვეულებათა შესათვისებლად, მის დად მეცნიერებისადმი საზიარებლად და ამასთან ერთად იმისდა გამოსარკვევლაც თუ როგორ და რა ღროს „დასაბამნი ზნე-ჩვეულებისანი ძველი აღმოსავლეთისანი“ გარდიქმნენ და განვითარდნენ სხვა და სხვა ღროს სხვა და სხვა ევროპიელ ხალხთა შორის.

ნათქვამთან ერთად თუ გავიზიარებთ ზოგად იმ აზრსაც, რომ ხალ-

ხი თავის წინსვლაში განსაკუთრებით უნდა დაეყრდნოს თავის ეროვნულ სულიერ კულტურას და აგრეთვე იმასაც, რომ ქართული სულიერი კულტურის ფესვები იჭრება თვით უუძველეს აღმოსავლეთის წი-
 აღში, მაშინ სადღეისო მაღალი მიზანსაც სასკოლო-სამეცნიერო საქმიანობისას სრულიად გამორკვეულ და ცხად ვჰყოფთ: **აღდგენა უუძველეს აღმოსავლეთთან ძალად შეწყვეტილ სულიერ კავშირისა, სრულ ამოწურვამდე მისი დიადი რთული კულტურის შესწავლით, რაც სკოლას და მით ცხოვრებასაც მიანიჭებს სათანადო სიმტკიცესთან ერთად ზნეობრივ ამაყ წონასწორობასაც და ამით მისცემს საშუალებას დამოუკიდებელ ქართულ სულიერ კულტურის საფუძველზედ შექმნას ადამიანის განვითარების თავისებური სვლა საერთო ხალხთა ოჯახისაკენ.**

ი. ჯიშკარიანი.

ვლადიმერ-ალექსი მესხიძევილის ხსოვნას.

ცხოვრებას ქმნიან, მას სახეს, ელფერს და მიმართულებას აძლევენ ძლიერი სულის მქონე და მდიდარბუნებოვანი ადამიანები.

ძველად ასეთ ადამიანებს, როგორც არაჩვეულებრივს, არაბუნებრივს, — „ზეკაცს“, „წმინდანს“, „წინასწარმეტყველს“ და სხვა ამგვარს უწოდებდნენ.

ასეთი ზეკაცი ხშირად მოეფლინებოდა ერს, ხალხს, მისი დაქვეითების, პოლიტიკურად, ეკონომიურად, თუ სულიერად დაუძლიურების და უკიდურესი განსაცდლის დროს. და იგი იხსნიდა თავის ხალხს დაღუპვისაგან, რის გამო, მაღლიერი ხალხი, ხშირად გააღმერთებდა კიდევ ასეთ გმირს.

ბევრჯერ გამიგონია გულუბრყვილო კითხვა: რისთვის ახლა არ იბადებიან ასეთებიო? — შამცდარია ეს ეჭვი. ახლაც იბადებიან ისინი, მაგრამ თანამედროვე კულტურისანი ადამიანის თვალსაზრისით წარმოშობილი მათი დამახასიათებელი სახელწოდება სხვა არის, ვიდრე ძველად იყო.

და განა ქართველ ერს, რომლის მთელი ისტორიული ცხოვრება წარმოადგენს ერთს ზოლიანს, მერყევს და მუდმივ ცვალებად საქანელას, ცოტა გასჩენია ასეთი ცით მოვლენილი გმირი, რომელთაც ჯა-

დონსური კვერთხის დაკვრით გაუხსნიათ ზღვა მეწამული, შიგ უვნებ-
ლად გაუყვანიათ დაღუბვის კარამდე მიწურული ერი და გადურჩენიათ
დედამიწის პირიდან აღგვას?



1857 წ. 16 თებერვალი

† 1920 წ. 24 ნოემბერი.

ერთი ასეთი საბედისწერო მომენტთაგანი იყო ჩვენს ცხოვრებაში
თვითმპყრობელ რუსეთის-მიერ თვისი ტლანქი თათის მაჯლოჯუნასე-
ბური დაჭერა ქართველ ერზე, ამ უკანასკნელის გასაწყლელად, მისი
სულიერი არსების მოსასპობად. და, აი, კიდევ აღმოჩნდა მაშინ მთე-
ლი რიგი ერის მოჭირნახულე მოღვაწეებისა, რომელთაც მტრისაგან
დაუნდობელი დევნისა და გვემის ქვეშ თითქმის უვნებლად გამოზიდეს
სამშვიდობოს საკუთარს ფხრებზე და დღევანდელს თაობას გადმოსცეს
მთელი ქართველების ეროვნული სული, რაც უმთავრესად გამოიხატე-

ბა ეროვნულ კულტურისა და ხელოვნების დაცვა-განვითარებაში...

ყველა იმ დარგთა შორის, რაც—კი შეუქმნია ადამიანის გონებას, დიდი ადგილი უჭირავს ხელოვნებას; ხოლო ხელოვნებაში თვალსაჩინო მნიშვნელობა მოუპოვებია სათეატრო ხელოვნებას.

თეატრი იგივე სკოლაა, მხოლოდ არა მოზარდთათვის წერა-კითხვის შესასწავლი, არამედ დიდებისთვის, რომელიც უმთავრესად ხალხის ზნეობრივ ამალგებას, სულიერად განსპეტაქებას და გრძნობებით გაკეთილშობილებას ემსახურება.

სათეატრო ხელოვნების განვითარება ერთი ნიშანთაგანი და საზოგადოებრივი ხელოვნების კულტურის ნაწილია. და კულტურულად უსუსური და უბადრუკია ის ერი, რომელსაც საერთოდ დროის მიხედვით, ჯეროვანად ვერ განუვითარებია სათეატრო ხელოვნება.

სწორედ გასულ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ქართულ თეატრს. და მაშინვე მისი ერთი უძლიერესი ბურჯთაგანი შეიქმნა ბუნებით მაღალი ნიჭით დაჯილდოვებული „ზეგარდმო მადლით ცხებული“—ვლადიმერ-ალექსი მესხიშვილი. მართლაც რომ მაღლით იყო იგი მოწოდებული „ხალხთ სამსახურად.“ მისი ბრვე ახოვანობა, არწივისებური ძლიერების გამომეტყველი, ღრმა გონიერების ცეცხლით მოვლვარე დიდრონი თვალები, მისი მტკიცე და ანდამატური, ყურადღების დამტყვევებელი ძალის მქონე, მოქნილი ხმა, აშკარად ჰმოწმობდნენ მისს არაჩვეულებრივ, არაბუნებრივ ადამიანობას, მის მდიდარ ბუნებოვანობას და ძლიერი სულის პატრონობას.

დაბადებიდანვე სასცენო ხელოვნებისთვის მოწოდებული ლადო იშვიათი და დაუფასებელი განძი იყო ახლად შობილ ქართულ სცენისთვის. ამ მხრით ბუნებას მთელი თვისი სიუხვე ლადოზე დაეცალა, მაგრამ ერთში—კი ეძუნწებია,—ლადო შეიქმნა შვილი მცირე და უჩინარი ერისა. რაც უნდა ბუმბერაზი იყოს უძლიერი და უჩინარი ერის შვილი, ისიც უჩინარი ხდება. ხოლო ლადო რომელიმე დიდი ერის შვილი რომ ყოფილიყო, იგი საქვეყნოთ ცნობილი პიროვნება შეიქნებოდა...

მან და მასთან რამდენმამე მისმა თანამედროვე—თანამშრომლებმა განუმტკიცეს ნიადაგი ქართულ თეატრს, ამაღლეს იგი და ბუნებრივ ზრდა-განვითარების გზაზე დააყენეს.

მათ აღზარდეს მთელი რიგი თვისი მემკვიდრე შეგირდებისა, რომ-

მელთაც ღირსეულად შეუძლიანთ განაგრძონ მათ მიერ დაწყებული საქმე.

ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო ლადოს დამშვენებია ჩვენი თეატრი, ჯადოსნური ხელოვანობით დაეტკბო მაყურებელი საზოგადოება. მისი დიდი ნიჭი, სათეატრო ხელოვნების ზედმიწევნით ცოდნა და გამოცდილება ძვირფას სამსახურს გაუწევდა განახლებული საქართველოს განახლებულ თეატრს, მაგრამ უღმობელომა ბედმა ასე არ ისურვა და ქართველი ერის კულტურისა და ახალი ხელოვნების გარიჟრაჟზე ჩაესვენა სამუდამოთ ამ ხელოვნების ერთი საუკეთესო ქურუმის მზე.

გულდაწყვეტილი მოწაფეები და მთელი ქართველობა წრფელი გულის ტკენით მისტირის საყვარელ ლადოს და აცილებს სამარის კარამდე უკანასკნელ გამოსათხოვარად, უკანასკნელი სანუგეშო სიტყვით, რომ არასოდეს დაივიწყებს მის წმინდა სახელს.

საუკუნო განსვენება და წრფელი სიყვარულით გასხვივონებული სამარადისო ხსოვნა შენ, ძვირფასო ლადო, ხელთ უქნელ ძეგლად ქართველ ერის გულში...

ილ. გოგია.

მიცვალებულ ხელოვანს*).

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც თითქოს იმისთვის იყოს გაჩენილი, რომ კაცად წოდებული არსების მწარე ცხოვრებას ცოტაოდენი შვება მაინც მიანიჭონ. არიან პიროვნებანი, რომელთა თვითეული ფიქრი და ზრახვა, ტვინის ყოველი ხვეული, სულის მაღალი გამოკრთომა მუდამ იქით არის მიმართული, რომ შეამციროს და შეასუსტოს ვაება წუთისოფლისა და ადამიანს შეუქმნან ლამაზ განცდათა, სიყვარულისა, მშვენიერებისა და ჭეშმარიტების ნეტარი წუთები... რა ძვირფასი, რა საყვარელი და დაუფიწყარი არიან ასეთი ადამიანები!

როგორ გიმძიმს უკანასკნელად ესაუბრო ასეთ პირებს!

თუ ამ ადამიანთა შორის ზოგი მტკიცე, ურყევი მარჯვენით სჭედს ცხოვრების გრდემლზე ჩვენი არსებობის სანუკვარ მომავალს და გმირუ-

ლი ხმით მოგვიწოდებს სამართლადანი ცხოვრებისკენ, მეორეხარისხის ჩვენს დანებებული, დასუსტებული და მოდალული სულის მესაიდუმლოენი არიან; კეთილი და უაღრესად მოყვარული მესაიდუმლოენი! ესენი არიან, რომ ჩვენ სულში ანთებენ პრამეთეოსის ცეცხლს, ანთებენ წმინდა ლამპარს წმინდა გრძნობებისას; მხოლოდ იმათ ძალუძსთ ჩაიხედონ ჩვენი იდუმალი ცხოვრების მიმაღულ კუნჭულში და ხან გვაცინონ და ხან გვატირონ ადამიანის სულის უაღრესი ცვალებადობისა და ტანჯვა-წამების მხატვრული განსახიერებით... ესენი არიან, რომ გვასწავლიან „დიდი ღმერთის საკურთხევის წინაშე“ ლოცვა-ვედრებას, გვასწავლიან თვით ამ ღმერთთან საუბარს; მათის მეოხებით შეგვიძლია დროებით მაინც გამოვიბათ ფრთები და ვინაფარდოთ უსაზღვრო სივრცეში, ავმალდეთ ყოველდღიურ კინკლაობასა, წვრილმანობასა და ჭირვა-რამხვ მხოლოდ იმეტომ, რომ განსპეტაკებულნი, წმინდა გრძნობებით ანთებულნი და ფაქიზი აზროვნებით აღჭურვილნი დაუბრუნდეთ ცხოვრების სინამდვილეს „დასათურგვანად ბოროტისა“.

ასეთ რჩეულ ადამიანთ ეკუთვნოდა ქართულ სცენის სიამაყე, დიდი ხელოვანი ახლად მიცვალებული ლადო მესხიშვილი. მაშინ, როდესაც მონობის მძიმე კირთებს ქვეშ სული ქართველისა მწარედ კვნესოდა, ეს ხელოვნების დიდი ქურუმი იყო, რომ სხვებთა შორის გვინებდა სულის ტკივილებს, გვიცისკროვნებდა და გვიფაქიზებდა სულისკვეთებას და გვასწავლიდა „დიდი ღმერთის“ წინაშე საუბარს. იგი ფლობდა ჩვენს სულს, იგი მეუფე იყო ჩვენი შინაგანი ცხოვრებისა. მახსოვს ის ბედნიერი დრო ჩემის მოწაფეობისა, როდესაც ლადო მესხიშვილი ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა; მსახიობს დაჰკარგოდა ხმა, მაგრამ როგორ მიშვიდველი იყო მისი ლაპარაკი, რამდენად ძლიერი იყო მისი ხმა: იგი ელექტრობის ნაკადივით დაგივლიდათ მთელს სხეულში და უცნობი სიტკბოებით მოიცავდა თქვენს არსებას. მესხიშვილის მიერ სხვა და სხვა გამართა ცხოვრების განსახიერებაში ჩვენ მოჯადოებული ვგრძნობდით მის დიდ ნიჭს, მის მხატვრულ ძლიერებას... იგი სცენაზე და ჩვენ მაყურებელნი ერთის ცხოვრებით ვცხოვრობდით, ერთის განცდით ვიყავით შეპყრობილნი და აღარ არსებობდა ამ მხრივ საზღვარი ჩვენსა და მას შორის. ქეშმარიტად დიდი და ძლიერი ცეცხლი ღვიოდა მიცვალებული ხელოვნის სულში და მისი ცეცხლი ყველას გვათბობდა, გვასულდგმულებდა! იგი პირველი იყო ჩვენში იმ



პირთა შორის, რომელთაც თავი თვისი დასდევს ხელოვნების სამსახერ-
პლოს წინაშე და მონობით განაწამებ ხალხს ბრწყინვალე სახეებად მო-
ველინენ...

სამწუხარო და სავალალოა, რომ ხელოვანი უკანასკნელ ხანებში ილ-
ტვოდა სამშობლოდან და მწარედ დაეხეტებოდა უცხოეთში. მე არ
ვიცი ვინ იყო ამაში დამნაშავე, თვით მსახიობი, თუ ქართველი სა-
ზოგადოება, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, უცხოეთში ყოფილი ქარ-
თული სცენის ბურჯი უდიდეს სულიერ წამებას და აუტანელ ნივთი-
ერ ხელმოკლეობას განიცდიდა... ერთი ქართველი მგოსანი მოიგონებს
რა ჩვენი ხელოვანის ხეტიალს უცხოეთში, შემდეგი მწარე სიტყვებით
ათავებს თავის ლამაზ ლექსს:

„ეხლა რაღა ვქნათ? ცეცხლთა რიდება
არ გენატრება ძლიერ ხელოვანს
და არ გიშუქებს შორი დიდება
მყუდრო სიბერის გზას სახელოვანს.

.....
..... ძველად გსმენია,
რომ სხვანაირად იგრძნობენ ალებს,
ასე სიკვდილი ელის გვნიოსს,
სასახლეები კი... ნაძირალებს.

დაუფიწყარო ლადო! საქართველოს მასწავლებლობის სახელით
მუხლს ვიყრი შენი პატიოსანი ცხედრის წინაშე და ფიცსა ესდებ რომ
ქართველი მასწავლებელი წმინდად შეინახავს თვის ხსოვნაში შენს ნა-
თელს სახეს, შენს არწივისებურ თვალებს, შენს საუცხოო ნიჭს და
ლამაზი და ამოუშლელი სურათებით აღბეჭდავს მას მოსწავლე ახალ-
გაზდობის სულში. მშვიდად განისვენე, ძვირფასო მიცვალებულო,
ქართული სცენა, ქართული ხელოვნება, ქართული საზოგადოება ვერ
დაგივიწყებს!

ალ. წერეთელი.

† სახალხო მასწავლებელი ანნა ახობაძე.

23 ოქტომბერს გარდაიცვალა სამტრედიის შ. რუსთაველის სახ. სკოლის მასწავლებელი ანნა ახობაძე. განსვენებული ეკუთვნოდა იმ იდეურ მასწავლებელთა ჯგუფს, რომელთაც, მიუხედავად ყოველ გვარი დაბრკოლებათა, გადაუწყვეტიათ სულის უკანასკნელ ამოთქმამდე განაგრძონ ხალხის წმინდა სამსახური.

თავდაღიწყებული, დაუღალავი შრომა, შინ სიღარიბე, კლასში მტვერი, სიცივე და სისტემატიური სიმშლი, ამ ნიადაგზე აღმოცინებული განუკურნებელი სენი, ხანგრძლივი ავადმყოფობა და ბოლოს ნაადრევი სამუდამო განშორება—ასეთი იყო უსიხარულო დღენი ამ ჯერ სულ ახლოგაზრდა 25 წლ. ქალისა.

მართალია, ანიკოს ბედი იშვიათი არ არის მასწავლებელთა შორის, შეიძლება მთელ მის პროფესიასაც მოელოდეს გარდაშენება უმთავრესად კოხის ჩხივებისაგან, მაგრამ ისინი, ვინც იცნობდნენ ანიკოს განუსაზღვრელ სიყვარულით აღსავსე საქმიანობას, უმტკივნეულოდ ვერ ურიგდებიან მის პირველ რიგში წასვლას, ვერ დაივიწყებენ მის სევდით სავსე ალერსიან სახეს მის მიერ აღზრდილნი მოწაფენიც.

ლანდელი.

28/10—1920 წ.

ქ. სამტრედია.


ი ვ ა ნ ე გ ო მ ე ლ ა უ რ ი

(30 წლის იუბილეს გამო)

ვანო (ივანე მიხეილისძე) გომელაური დაიბადა 1867 წ. სოფ. მირზანში ქიზიყში. შუათანა შემდგომი აზნაურის ოჯახში. 8 წლის ვანო მამა მისმა მიაბარა ახლად გახსნილ სოფლის სკოლაში, სადაც მასწავლებლად იყო საოსტატო სემინარიაში ახლად კურს დამთავრებული მ. გავაშელი; ორი წლის შემდეგ მ. გავაშელი სხვაგან გადაიყვანეს. პატარა ვანომ აღარ მოინდომა მის მოადგილე მასწავლებელთან სწავლა და სახლში დარჩა. ამის გამო მშობლები იძულებულნი გახდნენ ქ. სიღნაღში გავაშავნათ სასწავლებლად სამოქალაქო სასწავლებელში. ქართული ენისადმი სიყვარულის ვალვიძებას ვანოს გულში

აქ ხელი შეუწყო ქართული ენის მასწავლებელმა დეკანოზმა სიმ. ბეგიაშვილმა ქართველი მწერლების კითხვით.

როგორც სოფლის სკოლაში, აგრეთვე სიღნაღშიც, ვანო სამაგა-



ლითოთა სწავლობდა და აქ კურსის გათავების შემდეგ 1885 წ. მისმა უფროსმა ძმამ წამოიყვანა ქალაქში და შევიდა სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ უმაღლ. დაწყებით სკოლაში, უკანასკნელ კლასში. და ამნაირად მთელი წელიწადი ემზადებოდა ინსტიტუტში შესასვლელად, ზაფხულშიც მოემზადა და შემდეგ შემოდგომაზე შევიდა სამასწავლებლო ინსტიტუტის პირველ კლასში. მეორე წელიწადს მიღებულ იქნა სახელმწიფო ხარჯზე. ოთხ წელიწადს სწავლობდა ინსტიტუტში და 1890 წ. დაამთავრა კურსი. ამავე წლის პირველ სექტემბერს გამწესებულ იქნა ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ.

ახალგაზრდა მასწავლებელი თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებასთან ერთად შეუდგა საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობას.

ერთი კვირის ჩასული ძლივს იყო, რომ სცენაზე გამოვიდა („მათკოს“ მესამე მოქმედებაში), საზოგადოებას დიდათ მოეწონა მისი თამაში და იმანაც თითქმის სისტემატიურად დაიწყო წარმოდგენების მართვა. წარმოდგენების გარდა მართავდა საჯარო კითხვებს კლუბებში... ჯადო ფარნით ოზურგეთში პირველად გამართულ სახალხო კითხვაზე მან პირველად წაიკითხა ქართულად, რამაც გამოიწვია მაშინდელი მზრუნველი კ. იანოვსკის სასტიკი მიწერილობა ადგილობრივი სკოლის ინსპექტორის სახელობაზე: „რა უფლებით მართავთ სახალხო კითხვებს და ისიც ქართულ ენაზე“-ო. მაგრამ ვანო ერთხელ არჩეულ გზას მტკიცეთ ადგა: თავისი პატარა ქართული ბიბლიოთეკა მოწაფეთა ბიბლიოთეკად გადააქცია, საიდანაც მსურველებს დაუბრკოლებლივ გაქონდათ წასაკითხათ აკაკის, ილიას, ყაზბეგის, ბარათაშვილის და სხ. ჩვენი მწერლების თხზულებანი და, როგორც აკრძალულ ხილს, გულ მოდგინეთ ეწაფებოდნენ.

ექვს წელიწადს ეწეოდა ასეთ მოღვაწეობას ვანო ოზურგეთის სკოლაში, სადაც გარდა სხვა საკლასო საგნებისა ასწავლიდა ქართულს ყველა განყოფილებებში (ბოლო ხანებში) ხელგარჯილობას და მეაბრეშუმეობას. ეს იყო ერთი მიზნობრივი, რომ მოწაფეები მას მეტად დაუახლოვდნენ და შეიყვარეს...

ექვსი წლის შემდეგ ი. გომელაური გადაიყვანეს ზუგდიდში შტატის მასწავლებლად, სადაც მეფობდა ცნობილი აშორდია. აქ ი. გომელაური შეუდგა ქართული ბიბლიოთეკის მოწყობას სკოლაში მაშინდელი ინსპექტორი ცელოვალნიკოვის დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ სასტიკათ იყო აკრძალული, ქართულად ელაპარაკებოდა მოწაფეებს, აძლევდა ქართულ წიგნებს საკითხავად (სკოლაში არ ასწავლიდნენ) და სხ. მაგრამ სკოლას მალე ეწვია სარევიზიოთ მზრუნველის თანაშემწე ცნობილი ზავაცკი და შემდეგ გაზაფხულზე ვანო იძულებული გახდა ზუგდიდისთვის თავი დაენებებინა...

იმ ხანებში სასულიერო მთავრობამ დაარსა ზოგიერთა ადგილებში აგრეთწოდებული მეორე კლასიანი (ВТОРОКЛАССНЫЕ) სამასწავლებლო სკოლა, სადაც უნდა მომზადებულიყვნენ სოფლის სკოლის მასწავლებლები. ვანო სკოლის უფროს მასწავლებლად გამწესდა ქართლში სოფ. ტირძნისში, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა: ეს იყო ღვდელი, რომელიც სლავიანური ლოცვებით ულაყებდა გონებას სოფლის პატარა-

გოგო ბიჭებს. ვანო შეებრძოლა სკოლაში არსებულ უკუღმართობათ, მაგრამ რო ვერაფერი გააწყო, რამდენიმე თვის შემდეგ მიანება თავი ამ სკოლას და გადმოვიდა ქ. თბილისის სააზნაურო გიმნაზიაში აღმზრდელად, მაგრამ ალ. ნათაძის შედგენილ სახელმძღვანელო „ბავშვის მეგობრის“ შესახებ „კვალში“ წერილის მოთავსების გამო, უმთავრესად. იგი იძულებული გახდა გადასულიყო ძველ სენაკში ქართული სკოლის მასწავლებლად. ამ დროს ბრძოლა იყო გაჩაღებული ძველებსა და მესამე დასელებს შორის... და თუმცა ი. გომელაური საწინააღმდეგო ვერცერთმა რევიზორმა ვერაფერი მოახსენა წ. კ. გ. საზ. გამგეობას, რომლის ბატონ-პატრონი მაშინ ეს საზოგადოება იყო, მაინც ისიც სხვა მასწავლებლებთან ერთად დაითხოვა გამგეობამ უადგილოთ. ი. გომელაური მაინც თავის საყვარელ საქმეს არ ეშვებოდა. ამის მერე მან თავი შეაფარა თბილისში არსებულ ქართ. კათოლიკეთა სკოლას. ერთი წლის შემდეგ 1900 წ. ამ სკოლაშიც განაგრძობდა მასწავლებლობას, მაგრამ იმავე დროს ცნობილ ბელეტრისტ და პედაგ. არსენ მამულაიშვილთან ერთად დაარსა კერძო სკოლა და პანსიონი. ერთი წლის შემდეგ კათოლიკეთა სკოლას მოშორდა, მაგრამ ვერც პანსიონს შერჩა დიდხანს, რადგანაც პანსიონი ვალების მეტს არაფერს აძლევდა... დაუტოვა სკოლა-პანსიონი თავის მეგობარ არსენ მამულაიშვილს და თვითონ წავიდა მასწავლებლად წინამძღვარიანთ კარში ცნობილი ილ. წინამძღვარიშვილის სამეურნეო სკოლის საზოგადო საგნების მასწავლებლად. 1904 წ. რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამოცხადდა მობილიზაცია და ი. გომელაური, როგორც მოლაშქრე გააფრთხილეს მზათ ყოფილიყო.

განიზრახა მთავრობის სკოლისთვის შეეფარებინა თავი და ამ მიზნით ის შევიდა მასწავლებლად ბაქას საზღვაო სკოლის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად... ერთი წლის შემდეგ ვანო მიიწვია ქარენის მასწავლებლად შორაპ. მაზრის შავი ქვის მრეწ. საბჭომ ქიათურაში ახლად დაარსებული უმაღლ. დაწყებ. სკოლის მასწავლებლად. აქ მან იპოვა, რასაც ეძებდა სრულიად თავისუფალი სწავლება ქართული ენისა, ცოდნისთვის მოსული ქართული ბავშვები. ქიათურაში მისმა მოღვაწეობამ ჯაშალა ფრთები: გარდა პირდაპირი მოვალეობისა, დიდ მონაწილეობას იღებდა სცენაზე თამაშობით, ადგილობრივ წერ. კითხ. საზოგად. მუშაობაში, სახალხო უნივერსიტეტის დაარსება გაძლოლაში და სხ.



გულითა და სულით შეიყვარა ქიათურის სკოლა და მოწაფეები. ვინც 1917 წ. დაესწრო მის მოწაფითა გამოთხოვებას, ვინც დაინახა ის მდულარე ცრემლები, რომლებიც არა მარტო პატარებს, — დიდებსაც სცვივლათ, ის უეჭველად იტყოდა, რომ მასწავლებლებსა და მოწაფეთა შუა გაზრდილა და გაფურჩხულა უზარმაზარი ვარდი სიყვარულისა.

1917 წ. რევოლიუციის შემდეგ თბილისის კუბერ. ქართ-მასწავლებლებმა ამოირჩიეს და შემდეგ კომისარიატმა ის დაამტკიცა სკოლების ინსპექტორათ. ამ თანამდებობაზე დარჩა 1919 წ. აპრილამდის. ეხლა კი მიწვეულ იქმნა თბილისის მაზრ. სახალ. სკოლების ინსტრუქტორად, მაგრამ ამ შემოდგომაზე ის იქმნა მიწვეული თბილისის ქალთა მე-7 გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად. სადაც განაგრძობს თავისებურ ერთგულ მუშაობას.

ი. გომელაური ახალგაზდობიდანვე იღებდა ცოტ-ცოტათი მონაწილეობას ჩვენს პრესაში. ჯერ ათავსებდა წერილებს „ივერიაში“ შემდეგ „კვალში“, „განათლებაში“ (პედაგოგიური ელემენტი) და „ნაკადულში“ ილ. ჭავჭავაძის მოთხრობებზე.

ქართული ენის სწავლებამ დაანახა მას, რომ ჩვენ სახალხო სკოლას არა აქვს შესაფერი ქართული ენის სახელმძღვანელო და ამიტომ მან შეადგინა 1906 წ. გამოსცა ქართული ქრესტომატია „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების“ სახელით, ამ წიგნის პირველ დაბეჭვდაში დიდი დანხარება ამოუჩინა „ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭომ 300 მანეთის სესხებით და იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც უთავდება წიგნისათვის საჭირო ქაღალდის ყიდვის დროს.

სამი წლის შემდეგ გამოვიდა ამავე ქრისტომატიის მეორე და მესამე წიგნი, ხოლო უკანასკნელ დროს გადააკეთა ოთხ წიგნად უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის ყველა კლასებისათვის ცალ-ცალკე. პირველი ორი წიგნი წელს გამოსცა ქართ. შორ. წ. კ. გაშავრც. საზოგად. გამგეობამ.

ი. გომელაური სთარგმნის ხოლმე საყვარელ მწერლებს. მას აქვს ნათარგმნი კოროლენკოს, ჩეხოვის და სხ: მოთხრობები სთარგმნა პ. ჰაუპტმანის ორი დრამა „სულით ობოლნი“ და „მიხეილ კრამერი“, რომელთაგან პირველი დაიბეჭდა „ცხოვრება და თეატრში“, ხოლო მეორე „განათლებაში“.

დასასრულ, მას აქვს ნათარგმნი „მოწაფის პიგიენა“, რომელიც

ათიათასობითაა გავრცელებული ჩვენებურ მოწაფეთა შორის.

ვანო გამელაური ბუნებრივათაა პედაგოგი, რადგანაც ბავშვები და ახალგაზრდობა ყველაფერზე მეტათ უყვარს და თავს მხიარულად და ბედნიერათ სთვლის მხოლოდ მათ შორის. ამას მოწაფენი ინსტიტუტურად გრძნობენ და საკმარისია თუნდა ერთ თვეს მისი მეცადინეობა, რომ ყმაწვილებმა შეიყვარონ თავიანთი ტკბილი მასწავლებელი.

საქართველოში არ გვეგულება სხვა მასწავლებელი, რომელიც ნამოწაფართ ისე უყვარდეს და პატივსა სცემდნენ, როგორც ვანო უყვართ.

მაგალითისთვის აქვე მოვიყვან ერთ ლექსს, რომელიც უძღვნა ვანო გამელაურს ერთმა მოწაფემ—პ. შენგელიამ.

„წყვდიადში ვიყავ, ხსნას არ ველოდი
 მწარე სიცოცხლე მომბეზრებოდა.

გულს დარდი მაწვა, ვით შიშიე ლოდი,
 თვალები ცრემლით მემღუღრებოდა.

არვინ მეტყოდა—„ნუგეშინისო“

არსით შესმოდა ხმა იმედისა.

ვიყავ მკმუნვარი, სასო მიხდილი,
 და მომღურავი შავი ბედისა..

ალარ მეგონა ბედით ჩაგრულსა
 მელირსებოდა თუ კიდევ შველა,
 და სწორედ ამ დროს შენ გამომიჩნდი,
 ვით, წარღვნის შემდეგ ერს ცისარტყელა...

შენ, დახმარების მომეცი ხელი
 და მომაწოდე სიცოცხლის წყარო,
 მით ვალი დამდე გადაუხდელი,
 სამარადისოდ დაუვიწყარო“.

ვუსურვებთ იუბილიარს ვანოს კიდევ დიდხანს სიცოცხლეს საკეთილდღეოდ ჩვენი განახლებული სკოლისა, რომელთა წინაშე მას უასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის.

ამხანაგი.

რამდენ წელს უნდა გრძელდებოდეს დაბალი, საშუალო და უმაღლესი სკოლა საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში.

განათლება ისეთი რამ არის, რაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება. რუსული ანდაზა ამბობს: *ВѢКЪ ЖИВИ, ВѢКЪ УЧИСЬ*. ამ ანდაზაში კარგად არის გამოხატული თავისებური თვისება ადამიანის გონებისა. როგორც ყოველი ორგანიული ფუნქცია, ადამიანის გონებაც თან და თან რთულდება. ცდა და დაკვირვება არის მისი მასაზრდოვებელი მასალა. სპონტანიური თვითმოქმედება, დაბადებიდან თანდაყოლილი, ამუშავებს მუდმივ გარედან მიღებულ მასალას, და ამ გადამუშავების პროცესში ხდება თვით ადამიანის გონების დიფერენციაცია და ინტეგრაცია. ეს ევოლუციონური პროცესისი სწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც შინაგანი ძალა ადამიანისა სუსტდება და ის ვერ ერევა იმას, რასაც ახვევს მას თავზე ობიექტიური სინამდვილე. აქედან იწყება გონების დეკადანსი, რომელიც წინა მორბედი ადამიანის ფიზიკური საკვდილისა.

მაგრამ გარდა ზემოაღნიშნული ფართე მნიშვნელობისა, სიტყვა „განათლება“ აქვს უფრო ვიწრო მნიშვნელობაც და აი სწორედ ამ ვიწრო მნიშვნელობით ვხმარობთ ჩვენც შემდეგში ამ სიტყვას.

განათლება ამ შემთხვევაში ჩვენ გვესმის, როგორც მომზადება ცხოვრების სარბიელზე მოქმედებისათვის. თავის თავად ცხადია, რომ ასეთი განათლება უკვე თავდება მაშინ, როდესაც ადამიანს მიენიჭა შეძლება გახდეს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად, და ამასთან ერთად როდესაც მიეცა მას საზოგადოების წევრობის სრული უფლება. ეს მომენტი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებაში ჩვეულებრივი პირობაა დაქორწინებისათვის, სხვა და სხვა ერთა შორის სხვა და სხვა დროს დგება, თანახმად თითოეული ერის კულტურული განვითარების ხარისხისა.

საზოგადოთ, ამ მომენტის განსაზღვრისათვის ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დებულებით ვიხელმძღვანელოთ: რაც უფრო დაბალია რომელიმე წრის განვითარება, მით უფრო ადრე თავდება ამ წრეში განათლების ხანა და მით უფრო დაბალია დაქორწინებისათვის საჭირო წლოვანობის ცენზი. ბელგიაში, მაგალითად, საშუალო წლოვანობა დაქორწინ-

ნებისათვის არის 29,94 წელი ვაჟებისთვის და 28,19 წელი ქალებისთვის, ე. ი. იშვიათია ბელგიაში შემთხვევა, როდესაც თხოვდება ქალი, 28 წელზე უფრო ახალგაზრდა, ან ცოლს ირთავს ვაჟი, 29 წელზე ნაკლები ხნის. ამას რომ შევადაროთ მცირე კულტურის ხალხთა ჩვეულება, ჩვენ დიდს განსხვავებას შევამჩნევთ. თანახმად ცნობილი მეცნიერის ა. ჰუმბოლტის სიტყვისა, კამჩადალთა შორის ხშირად შეხვედებით ქმრებს, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ თორმეტი წელი, და დედებს (ცოლებს რომ თავი დავანებოთ), რომლებსაც არ შესრულებიათ ათი წელიც. ლაპლასის ინდოელები ცოლს ირთავენ, როდესაც ისინი თოთხმეტი წლისა ხდებიან და თხოვდებიან, როდესაც მათ თორმეტი წელი უსრულებიათ...

იგივე დებულება მართლდება, როდესაც ჩვენ ვადარებთ ურთიერთ შორის ერთ და იმავე საზოგადოების სხვა და სხვა კლასებს. განათლებული კლასები გვიან ქორწინდებიან, გაუნათლებელი კლასები კი ადრე. ცნობილია, მაგალითად, გვიანი ქორწინება ინგლისის პერთა და ეპისკოპოსთა და ნაადრევი ქორწინება რუსეთის გლეხობისა. რომ დაქორწინების მომენტი და ამასთან ერთად განათლების პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საზოგადოების კულტურულ განვითარებიდან, ამას ამტკიცებს აგრეთვე საკუთარს ჩვენს ცხოვრებაზე დაკვირვება. არც იმდენი ხანია მას აქეთ, რაც საქართველოში ჯვარს იწერდნენ 12—13 წლის ქალები და 15—16 წლის ვაჟები. დღეს საქმე სხვანაირად არის: ხანა, რომელიც წინ უსწრებს დაქორწინებას, ჩვენშიც გაგრძელდა თან და თან. უკვე იშვიათია საქართველოში 13 წლის ბატარძალი.

რაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ კულტურული განვითარება აგრძელებს განათლების ხანას და აშორებს დაქორწინების მომენტს? დაკვირვება გვეუბნება, რომ ამის მიზეზი არის არსებობისათვის ბრძოლის გაძნელება: თანდათან ინდივიდუუმს უძნელდება ობიექტივურად ბრძოლა ცხოვრების შესანარჩუნებლად. ამ ასი წლის წინ ადამიანს ნაკლები მოეთხოვებოდა, ვიდრე მოეოხოვება მას დღეს. ამის გამო ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად დღეს მეტი მომზადება საჭიროა, ვიდრე უწინ. მეტი მომზადებისათვის კი აუცილებელია მოსამზადებელი ხანის გაგრძელება.

მართლაც და რა უნდა სცოდნოდა, მაგალითად, ჩრდილო-ამე-



რიკის ინდოელს, რომ მას მოეხოვებინა ეკონომიური დამოუკიდებლობა? ბევრი არაფერი. ელემენტარული ფიზიკური სიმარდე, რომელიც მისცემდა მას საშუალებას თავი ერჩინა ნადირობით, საკმაო იყო, რომ ინდოელს ეგრძნო თავი სრულიად მომწიფებულ ადამიანად. ასეთი სიმარდის შექმნა კი ბევრს წრთვნას არ ითხოვს. 10 ან 11 წლის ყმაწვილს შეუძლია ზედმიწევნით შეითვისოს შვილდ-ისრის ხმარება, ისეთ რომ ის არაფრით არ ჩამოუვარდებოდეს ამავე საზოგადოების ხანში შესრულ სხვა რომელიმე წევრს.

სუსტი კულტურის საზოგადოების წევრს გაცილებით უფრო ნაკლები ღრო და ენერჯია სჭირია, ვიდრე მაღალი კულტურის საზოგადოების წევრს, რათა შეესისხლხორცოს მის გარშემო არსებულ საზოგადოებრივ წრეს და შეითვისოს საზოგადო ღირებულობის ხერხები შრომისთვის, ან არსებობის შესანარჩუნებელ ბრძოლისთვის*).

აი ამიტომაც კულტურის ზრდა თან-და-თან აგრძელებს განათლების (საზოგადოთ აღზრდის) ხანას და თან-და-თან აგვიანებს დაქორწინების მომენტს.


არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ზიანი, რომელიც მოაქვს ამ მოვლენას. ჯანმთელობისათვის საენოა ზომიზე უფრო ნაადრევი დაქორწინება, რომელიც წინ უსწრებს სქესობრივ სიმწიფეს (pubertas) ან და ძლიერ ახლო მისდევს მას. მაგრამ ჯანმრთელობისათვის საზარალოა აგრეთვე ძლიერ დაგვიანებული დაქორწინებაც. ამასთან ერთად ზომიზედ უფრო ნაადრევი ან დაგვიანებული დაქორწინება საზარალოა მთელ საზოგადოების კეთილდღეობისთვისაც.

ადამიანის ბუნება, შეიძლება ითქვას, დისპარმონიულია. სქესობრივი სიმწიფე (pubertas) წინ უსწრებს ადამიანის სრულს მომწიფებას (nubilitas). ეს უკანასკნელი საშუალო ევროპის ქვეყნებში ქალებისათვის დგება მაშინ, როდესაც მათ დაახლოვებით 20 წელი უსრულდება, ხოლო ვაჟებისათვის მაშინ, როდესაც ისინი 24 წლის ხდებიან, 17—18 წლის ქალი, ან 20—22 წლის ვაჟი მომწიფებული არიან სქესობრივად. მათ შექმნილი აქვთ უკვე ის თვისება, რომელსაც ფიზიოლოგები ეძახიან pubertas. ე. ი. 17—18 წლის ქალს ან 20—22 წლის ვაჟს შეუძლიათ უკვე განგრძონ შთამომავლობა, მაგრამ ამ წლოვანობის ქალი ან

*) შეად. Проф. Селли—Педагог. психолог. под. ред. Громбаха—60—62.

ვაჟი ჯერ არ არიან საკმაოდ მომწიფებული. მათ სხეულს არ მიუღწევია ჯერ კიდევ განვითარების უმწვერვალეს წერტილამდის, როდესაც შთამომავლობის გაგრძელება არავითარ ზიანს არ მოიტანს. ნორმალური ხანა დაქორწინებისა არის სრული მომწიფება ორგანიზმისა (pubertas). აქედან ცხადია, რომ საშუალო ევროპის ქვეყნებში, სადაც ადამიანის ორგანიზმი სრულს სიმწიფეს აღწევს ვაჟებში 24 წლისთვის, ქალებში კი 20 წლისთვის, ქორწინებაც უნდა დაახლოვებით ამ დროს ხდებოდეს. ე. იგი ამ ქვეყნებში ჯვარს უნდა იწერდნენ ქალები არა უფროსი 20 წლისა, და ვაჟები, არა უფროსი 24 წლისა.

აქედან ცხადდება, რომ ადამიანს სწორედ ამ დროისთვის უნდა დასრულებული ქონდეს მომზადების ხანა და ის უკვე უნდა ითვლებოდეს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. თუ ადამიანი ამ ხნის შემდეგაც რჩება საზოგადოების უუფლებო და სხვისგან დამოკიდებულ წევრად, თუ ადამიანი ამ ხნისთვის ვერ ახერხებს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად გადაქცევას, ეს მოვლენა ძლიერ ჩაგრავს მის სულიერ აგებულობას. ადამიანის ფსიქიკა იხრწნება, მისი ნება სუსტდება, გონება ჩლუნგდება და მთელი სულიერი განწყობილება დებულობს პესსიმისტურ აღბეჭდილობას. ეს უკვე აღნიშნეს ადამიანის სულის ასეთ ღრმა მცოდნე პირებმა, როგორიც იყვნენ მოსე წინასწარმეტყველი და ლიუტერი, ან თანამედროვე მწერლები რომ ავიღოთ, ლეო ტოლსტოი, ჭრიდრიხ პაულსენი, ილია მეჩნიკოვი. განსაკუთრებით ტოლსტოი და მეჩნიკოვი დაჟინებით უთითებენ, რა დიდი ზიანი მოაქვს თანამედროვე საზოგადოებისთვის იმას, რომ მოსამზადებელი ხანა ადამიანისა ზომიერად მეტად გრძელია ჩვენს დროში. მართლაც ძნელია მეტი ზიანის მოფიქრება: ჯერ კიდევ არ შესრულებია ადამიანს 12—13 წელი, მასში კი დიდი ხანია უკვე გაღვივებულია სქესობრივი ლტოლვა. მაგრამ სქესობრივი სიმწიფის დადგომამდის ჯერ კიდევ რამდენიმე წელია დარჩენილი. აი ამ წლებმაც განვლენ. ადამიანმა მიაღწია 17—18 წელს, როდესაც დგება სქესობრივი სიმწიფე; მაგრამ აქაც ბუნება ნებას არ აძლევს მას დააკმაყოფილოს თავის სქესობრივი ლტოლვა და უბრძანებს უცადოს იმ დროს, როდესაც ორგანიზმი მიაღწევს დასრულებას. ეს ჟამიც დგება. ადამიანი ხდება 24 წლის, ბუნება უკვე ვერ პოულობს საბუთს დაუშალოს მას სქესობრივი ლტოლვის დაკმაყოფილება. მაგრამ აქ ახალი ძალა წამო-



ყოფს თავს: ეს არის კულტურა, თავისი ზნეობით უფლებით, ეკონომიკით, რომელიც უკრძალავს ადამიანს ნება მისცეს თავის სქესობრივ გრძნობებს და უბრძანებს მას იცადოს კიდევ 5—10 წელი; ვიდრე ის არ შეიძენს ეკონომიურ დამოუკიდებლობას: საკმაოდ არ გამდიდრდება ან არ შევა საიმედო სამსახურში. ამ რიგად, ხედავ, ადამიანი უკვე 30—36 წლის გამხდარა და მას კიდევ ვერ გაუჩენია თავისი ოჯახი. ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ კულტურა ისედაც დისჰარმონიულ ადამიანის ბუნებას (აბა რა არის, თუ არა დისჰარმონია, როდესაც ადამიანს ლტოლვა რომელიმე ფუნქციისადმი ებადება გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ის შესძლებს თვით ფუნქციის შესრულებას?) კიდევ უფრო დისჰარმონიულად ქმნის*). ამდენი მოთმენა და ბუნებრივი მოთხოვნების დახშობა კი უზიანოდ არ რჩება.

მრავალი სტატისტიკური გამოკვლევანი ფარრისა, ვაგნერის, ლევის, ქეტლეს, ლეგუასი და სხვებისაც გვიმტკიცებენ, რომ ყველაზე უფრო ხშირად სნეულობა, სიკვდილი, თვითმკვლელობა, ქკუიდან გადასვლა, ბოროტმოქმედება წილად ხვდება 29 წელზე უფროსს უცოლოს, ან უქმრო ადამიანებს. მეჩნიკოვმა დაუბირდაპირა ეს დასკვნა დრეპპერის ცნობილ კანონს, რომელიც ამბობს, რომ ერი, ისე როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი, იბადება, მწიფდება, ბერდება და კვდება. მეჩნიკოვის აზრით, მიზეზი იმისა, რომ დაიღუპნენ ასეთი მაღალი კულტურის ერები, როგორიც იყვნენ ეგვიპტელები, ბერძნები ან რომაელები, უნდა სწორედ იმაში ვეძიოთ, რომ კულტურულ განვითარებამ ძლიერ გაუგრძელა მათ აღზრდის ხანა და ძლიერ დაუფვიანა დაქორწინების მომენტი**) მართლაც, საბერძნეთის და რომის ისტორიიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ამ ქვეყნების დაცემის ხანაში ოჯახი თითქმის მოისპო. პლატონი, რომელიც უსათუოდ განიცდიდა თანამედროვე საზოგადოებრივ იდეალების გავლენას, მოითხოვს თავის განთქმულ „სახელმწიფო“-ში, რომ კეთილშობილი წრის ვაჟები უღლებოდენ არა უადრეს 30 წლისა. რაც შეეხება არისტოტელეს, მან

*) იტალიანელი მწერალი მორსელი თავის გამოკვლევაში თვით მკვლელობაზე იცავს შემდეგ დებულებას: „ყველა განათლებულ ერებს შორის თვითმკვლელობათა რიცხვი უფრო სწრაფად დიდდება ვიდრე მოსახლეობის გეომეტრიული ზრდა და საერთო სიკვდილი“. იხ. Ribot—Психол. чувств. стр. 266.

**) Проф. И. Мечниковъ.—Биолог. этюды.

სასურველად სცნო, კიდევ უფრო დაეგვიანებინა ეს მომენტები მისი აზრით ვაეს შეუძლია ცოლის შერთვა მხოლოდ 37 წლისას. ექვი არ არის, რომ ორივე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დეკადენტურ შეხედულებებთან

მაგრამ ეს შეხედულებები დიდად არ განსხვავდებიან თანამედროვე კულტურულ ევროპის შეხედულებებიდან. შრედერი, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია გერმანელ მასწავლებელთა პროფესია, სწერს: „31 ან 32 წლამდის მრავალი უფროსი მასწავლებელი (ლაპარაკია გიმნაზიის მასწავლებელზე ემზადება სამსახურისთვის; 36 წლამდის ის ელის ადგილზე დანიშნვას. 57 წლისთვის მან უკვე დაასრულა თავის სარბიელი: ან მოკვდა ან უკვე უვარგისია სამსახურისთვის“ *).

მე ავიღე მხოლოდ ერთი დარგი ეგრედ წოდებულ ლიბერალურ პროფესიებისა. ბევრად უკეთესად არ არის სხვა დარგებშიდაც. მაშ, აგრე: 36 წელი თანამედროვე საზოგადოების წევრი ემზადება ცხოვრებისთვის, ნამდვილი ცხოვრება კი გრძელდება მხოლოდ 21 წელი—(57—36=21)!

ეს საშინელი წინააღმდეგობა, ნაყოფია თანამედროვე კულტურისა, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს ადამიანის პიროვნებას, და აქცევს მთელს მის ცხოვრებას უსინათლო და დაღვრემილ არსებობად.

ასეთი წესი ცხოვრებისა ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას. თუ ჩვენ ზემოაღნიშნულ თვალსაზრისით თანამედროვე კულტურული ადამიანის ცხოვრება შევადარეთ ველურის ან პირუტყვის ცხოვრებას, დიდს განსხვავებას შევამჩნევთ. ეს განსხვავება არ იქნება სასარგებლო პირველისათვის. მაგალითად.

აღზრდის ხანა ძალს 15 ჯერ უფრო ნაკლები აქვს მთელი მისი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.**) სხვა პირუტყვების შორისაც თითქმის ასეთივე პროპორციაა: ყოველგან სიცოცხლის გაცილებით უფრო ნაკლები წილი ხვდება აღზრდას, გაცილებით მეტი წილი კი დასრულებული ორგანიზმის სახით ცხოვრებას.

*) Бургерштейнъ и Нетолицкій, Школьная гигиена т. II, стр. 280.


**) ერთი წლის ლეკვი უკვე მომწიფებულია: მას შეუძლია შთამომავლობის გაგრძელება. სიცოცხლობს კი ძალიან დახლოვებით 15 წელს.

აი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ჩვენ სათავე იმ პროტესტისა, რომელიც ლითონი რუსსომ და ტოლსტოიმ კულტურის წინააღმდეგ გაილაშქრენ. მათი მოძღვრებით კულტურა ამახინჯებს ადამიანის ბუნებას და აქცევს მას უბედურ არსებად. კულტურამ მოსწყვიტა ადამიანი ბუნებრივ გარემოს და ჩააყენა ის ისეთ პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება მის ძირითად მოთხოვნილებებს. ამის გამო კულტურის განვითარება იწვევს ადამიანის დაცემას. ასე ქადაგებდნენ თანამედროვე რომანტიზმის მამათ მთაფარნი.

მართალია, ჩვენ არ ვიზიარებთ რუსსოს და ტოლსტოის პესნიმისტურ შეხედულებას კულტურის ასეთს მნიშვნელობაზე. ჰერბერტ სპენსერთან ერთად ჩვენ გვწამს, რომ ევოლუცია თანდათან მიგვიყვანს იქამდის, როდესაც ადამიანის ბუნების და მის გარშემო არსებულ პირობებს შორის, რამდენიმე შესდგებიან ბუნებრივ და სოციალურ პირობებისგან, დამყარდება სრული თანხმობა. მაგრამ მიუხედავად ამისა დღეს დღეობით წინააღმდეგობა ადამიანის ბუნების და სოციალურ პირობების შუა მანძილზე: კულტურამ შექმნა ხელოვნური პირობები არსებობისა, რომელიც ზედ დაემატა ბუნებრივ პირობებს და გაართულა ადამიანის ცხოვრება.

რა დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ აქედან პედაგოგიური ხელოვნებისთვის?—ბევრი რამ. პირველად ყოველის ის, რომ განათლების პროცესი უნდა გაუადვილოთ მოზარდ თაობას. თუ კი ხანა განათლებისა თანამედროვე კულტურის თავისებურობის გამო იმ ზომამდე გრძელდება, რომ თვით ცხოვრებისთვის შედარებით ცოტა დრო რჩება, განა ცხადი არ არის, რომ განათლების ხანას ჩვენ უნდა შევხედოთ, როგორც დამოუკიდებელს რასმე? სკოლა უნდა იყოს არამც თუ მართა მომზადება ცხოვრებისათვის, ის თვით უნდა იყოს ცხოვრება. ბავშვი უნდა განხილულ იქნეს არა მხოლოდ როგორც მასალა მომავალ ადამიანის შესაქმნელად, არამედ როგორც პიროვნება, რომელიც თავის ემპერიულ არსებობაში ატარებს უკვე. აღზრდის მიზანს.*) თუ ჩვენ შევითვით ეს აზრი, ადვილი იქნება მაშინ სკოლაში მუშაობაც. სრულიად ბუნებრივია ამისათვის, რომ სწორედ კულტურის მოწინააღმდეგე ჟან ჟაკ რუსსოს სახელთან არის ასე მჭიდროდ დაკავშირებული თანამე-

*) ცნობილი ამერიკელი პედაგოგი სტენლიხოლლი განსაკუთრებით იცავს ამ აზრს ჩვენს დროში.



დროვე პედაგოგიკის იდეალები; ელლენ კეი უკვე მოცემულია რუსოს ემილში.

მაგრამ ეს დასკვნა არ კმარა. რაც უნდა ვეცადოთ სკოლაში თვით ცხოვრების ნაკვეთი დავინახოთ, სკოლა მაინც არ არის ცხოვრება. ჩვენ შეგვიძლია შევუფარდოთ სკოლის მეთოდები ახალ შეხედულებას განათლების ბუნებაზე, ჩვენ შეგვიძლია დავისახოთ მიზნად მოზარდი ბავშვის პიროვნების დაცვა—მაგრამ ფაქტი მაინც უძლეველ ფაქტად რჩება: **სკოლა არსებითად არ არის თვით ცხოვრება.** ის მხოლოდ ამზადებს ცხოვრებისათვის და ეს მოვლენა აჩენს დაღს მთელს მის სტრუქტურაზე. შეიძლება, ეს შეხედულება არის მოზარდილების ეგოიზმი. მაგრამ ამ ეგოიზმს ვერ წაუვალთ: მოზარდილება სკოლის პატრონი. უფრო საგულისხმოა და მეტწილად მეორე დასკვნა: განათლების ან აღზრდის ხანა ზომიერად მეტს არ უნდა გრძელდებოდეს. განათლების ხანა ჩვენ უნდა შევთანხმოთ ადამიანის ბუნებრივ მომწიფების ხანასთან (nubilitas).

ამ დებულებას ჩვენ ვერ აუხვევთ გვერდს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე ეხება ერის წინამძღოლთა აღზრდას, ვინაიდან, თუ ერის წინამძღოლნი სულიერად დამახინჯებული ადამიანები იქნენ, თუ მათი აღზრდა არ იქნა პარმონიულად შეთანხმებული მათ ბუნებასთან, ასეთ პირობებში მათი გავლენაც ერზედ უფრო უარყოფითი ხასიათის იქნება, ვიდრე დადებითის. ამნაირად აღზრდილი ადამიანი მეტს ზიანს მოუტანს საზოგადოებას, ვიდრე სარგებლობას. მაშ, ბუნებრივი აღზრდის პრინციპი, რომელიც შესდგება აღზრდის მეთოდის ადამიანის ბუნებრივ მიდრეკილებებთან შეთანხმებაში, მოითხოვს დაჟინებით რომ განათლების ხანა შეძლებისადგვარად უახლოვდებოდეს იმ ხანას, რომელიც საჭიროა ადამიანის ორგანიზმის მომწიფებისათვის.

თუ ამნაირად 24 წლისთვის, როდესაც მამაკაცის ორგანიზმი აღწევს სრულს თავის განვითარებას, ადამიანი საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც მომწიფებული უნდა იქნეს, ცხადია, რომ ამ დროზე ერთ ან ორი წლის წინ მაინც უკვე დასრულებული უნდა იყოს სწავლის ხანა: ეს ერთი ან ორი წელი საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანმა შესძლოს იმ სარბიელის მონახვა, სადაც ის შემდეგ გამოიყენებს თავის ცოდნას—რომელიც მან შეიძინა სწავლის დროს. მაშ 22—23 წლისთვის ნორ, მალურ პირობებში სწავლა ყოველივე ექვს გარეშე დამთავრებული უნდა იყოს.

შეიძლება ქართველი კაცისთვის, რომელიც უფრო სამხრეთელ რასას ეკუთვნის და ადრე მწიფდება, სწავლის დამთავრება ნორმალურად უფრო ადრე უნდა ხდებოდეს, ვიდრე ეს არის ზევით ნაჩვენები. მაგრამ ამის თქმა გაბედულად დღეს შეუძლებელია, ვინაიდან ექსპერიმენტალური გზით წარმოებელი მეცნიერულ-ბიოლოგიური გამოკვლევები ამ დარგში ჩვენ არ მოგვეპოვება ჯერ-ჯერობით.

ჩვენ გამოვარკვით ის პასაკი, რის შემდეგ სასკოლო-განათლების გაგრძელებას დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ბუნებისთვის და აგრეთვე მთელი საზოგადოების კეთილ დღეობისთვისაც. ეს არის 22—23 წელი რომლის შემდეგ ადამიანი უკვე პრაქტიკულ საქმიანობას უნდა შეუდგეს: უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი ეკონომიურ დამოუკიდებლობისაკენ. ეხლა იბადება საკითხი. როდის უნდა იწყებოდეს განათლების ხანა. აქაც ნუ დაგვაფიწყდება რომ „განათლება“ ჩვენ გვესმის ვიწრო მნიშვნელობით, ვინაიდან ფართო მნიშვნელობით განათლება ან აღზრდა იწყება ადამიანის დაბადებიდან.

საზოგადოებრივი განათლება სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა დროს იწყება. ეს დამოკიდებულია საზოგადოებრივ განათლების დაწესებულებათა თავისებურობიდან. საფრანგეთში, მაგალითად, არსებობენ ეგრედ წოდებული სადედო სკოლები (écoles maternelles), სადაც 3 წლის ბავშვებს იღებენ. ინგლისის საზოგადო სკოლებშიც ბავშვებს იღებენ დაბადებიდან 3 წლის შესრულების შემდეგ.

მრავალ ქვეყნებში. როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში გაგრძელებულია საბავშო ბაღები, სადაც აბარებენ 2 წლის ბავშვებსაც. მაგრამ აღსანიშნავია, რომ არც სადედო სკოლები, არც საბავშო ბაღები არ შედიან სავალდებულო სახალხო განათლების სისტემაში.

ვერც ჩვენს სავალდებულო სახალხო განათლების სისტემაში შევლენ ეს დაწესებულებანი. ჯერ ერთი იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი ძლიერ შევიწროვებულია. მეორედ კი იმისთვის, რომ ჩვენში ეს სააღმზრდელო დაწესებულებები მაინც და მაინც დიდს საჭიროებას არ წარმოადგენენ: საბავშო ბაღის იდეა, რომელიც ეკუთვნის ფრებელს, შესდგება იმაში, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს ბუნების წიაღში, ვინაიდან ის მთლიანი ბუნების ნაწილია. მაგრამ ეს იდეა ჩვენს სამიწათ-მოქმედო ქვეყანაში სრულიად არ გვიკარნახებს იმას, რომ ჩვენშიაც უნდა შევქნათ ცალკე სააღმზრდელო დაწესებულება, სა-

ბავშო ბალი. საბავშო ბაღებს აქვთ აზრი არსებობისთვის დიდს სამრეწველო ცენტრებში, სადაც აღამიანს შეუძლია ისე დაასრულოს თავის ბავშობა, რომ მან ვერც კი შესძლოს ძროხის დანახვა ან და მწვანე მინდორის მორბენა. გარდა ამისა ასეთ მსხვილ ცენტრებში ოჯახი თითქმის არც კი არსებობს: ქმარი ყოველ დილას ადრე სამუშაოდ მიდის საღადაც და ბრუნდება საღამოს გვიან. ცოლიც ხშირად სამსახურშია. ამნაირად ბავშვი თითქმის მთელი დღე მოკლებულია მშობელთა მზრუნველობას. აქ აუცილებლად საჭიროა გაჩნდეს ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელიც მოუარს უყურადღებოდ მიგდებულ ბავშვებს. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ევროპაში ასე გავრცელებულია საბავშო ბაღები, ძუძუმწოვართა თავშესაფარები და სხვა ამგვარი დაწესებულებები მცირე წლოვან ბავშვთათვის. ყველა ეს დაწესებულებები მაჩვენებელი არიან იმისა, რომ ოჯახი ამ ქვეყნებში განიცდის კრიზისს.

სულ სხვა პირობებში ვარსებობთ ჩვენ, ქართველები. ჩვენი ქვეყანა უმთავრესად მიწის მოქმედებით ცხოვრობს. 85 პროც. ქართველი ერისა სოფლის მეურნეა. ამის გამო ჩვენი ახალგაზრდობაც ბუნებასთან უშუალო დამოკიდებულებაში იზრდება. აქ არ არის ამიტომ საჭიროება შევქნათ ხელოვნურად ისეთი პირობები, რომ ბავშვს შეძლება მიეცეს ბუნებას დაუახლოვდეს: ხელოვნური ჩარევის გარეშეც ქართველი ბავშვი ბუნების გავლენას განიცდის. მწვანე მინდორი, ჩიტის ბუდე, ანკარა რუს წყალი ქართველი კაცისთვის ჯერ არ გამხდარა საოცნებო საგნად. ვინ იცის, ეგება არას დროსაც არ გახდეს. ამასთან ერთად, ჩვენი ოჯახიც საკმაოდ მძლავრია ჯერ კიდევ. მიწის მოქმედება ამაგრებს ოჯახს და არ რყვნის მას ისე, როგორც საქარხნო მრეწველობა. უკანასკნელი კი ჩვენს ქვეყანაში თითქმის არ არსებობს. საექვოა ისიც, გაჩნდება თუ არა საქართველოში ახლო მომავალში მსხვილი მრეწველობა*).

მართალია ჩვენს ოჯახზედაც ხშირად გვესმის ჩივილი. განსვენებული ლუარსაბ ბოცვაძე ამტკიცებდა ერთხელ, რომ ქართული ოჯახი სრულიად განადგურებული არისო**). მაგრამ ამ ჩივილში ბევრი რამ გაზვიადებულია დასავლეთ ქვეყნების მწერალთა ზეგავლენით. შეიძლება

*) იხ. ს. დარიანი—საქართველოს ეკონომიური ვითარებისთვის.

***) იხ. „სკოლა და ოჯახი“, № 1.



მართალი იყოს, რომ დასავლეთ ქვეყნებში ოჯახი ინგრევა, მაგრამ ჩვენ სულ სხვა საზოგადოებრივ პირობებში ვცხოვრობთ და ამ ქვეყნების ხიფათი ჩვენ, ვფიქრობ, ჯერ არ გვემუქრება. საქართველოში მხოლოდ ერთი ქალაქია, სადაც საბავშვო ბაღის იდეას შეუძლია ნიადაგი მოიპოვოს: ეს არის თბილისი. საბავშვო ბაღები საჭიროც რომ იყონ, საქართველოს ეროვნული სწავლა აღზრდის სისტემაში ისინი ვერ შევლენ, რადგანაც საბავშვო ბაღის დანიშნულებას ჩვენში საზოგადოთ ადვილად ასრულებს ოჯახი, და ასრულებს უკეთესად, ვიდრე საბავშვო ბაღების განათლებული ხელმძღვანელები, რომლებიც ხანდისხან ფელდფებელზე უარესად არ „წრთენიან“ ბავშვებს თანახმად „ფრებელის სისტემისა“, თუმცა ფრებელი პირადად უარყოფდა ყოველგვარ „სისტემას“, ყოველგვარ იძულებითი წრთენას და მოითხოვდა, რომ ბავშვს სრულიად თავისუფლად გამოველინებია თავისი პიროვნება ნახ პასაკში.

თუ საბავშვო ბაღის ამოცანები სცილდებიან ჩვენს საზოგადოებრივ განათლებას, მაშინ ცხადია, რომ სკოლაში შესასვლელ ბავშთა წლოვანობა უნდა იყოს საკმაო იმასათვის, რომ მათ შეძლება ქონდეთ შეუდგენ წერაქითხვის შესწავლას ჩვეულებრივი სასკოლო მეთოდით. რამდენი წლის უნდა იყოს მაშ ბავშვი, როდესაც ის პირველად იწყებს სკოლაში სწავლას?

ამ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ანტროპოლოგიური გამოკვლევებიდან. გამოდიან რა იმ აზრიდან, რომ ადამიანის თავის-ტვინის დაჩქარებული ზრდა თავდება დაბადებიდან 6 ან 7 წელში, ფიქრობენ რომ სწორედ 6—7 წლის უნდა იყოს ბავშვი, როდესაც ის იწყებს სკოლაში სწავლას. თავის თავად ცხადია, რომ არ შეიძლება ითქვას, თითქო ჩვენ აქ ხელით გვაქვთ ისეთი კანონი, რომელმაც არ უწყის გამონაკლისი. ბავშვის განვითარება ფრიალ ინდივიდუალური რამ არის. ამისათვის შეუძლებელია საყოველთაოდ სავალდებულო წესის სახით რომელიმე დებულების დამყარება ამ განვითარების შესახებ. ზოგი ბავშვი ვითარდება ძლიერ ადრე: 4 ან 5 წლისას მას უკვე საკმაოდ შესწევს ძალა, რომ შეუდგეს დასაწყის სკოლის კურსს; ზოგი ბავშვი კი ვითარდება გვიან, ასე რომ ხანდისხან 8 წლის ბავშვიც ისე ჩამორჩენილია, რომ მისთვის შეუძლებელია სწავლის დაწყება სკოლაში.

აქ დიდი მნიშვნელობა აქვს, უნდა ვიფიქროთ, ბავშვის ეროვნე-

ბას. რაც უნდა არ ილაპარაკონ პოლიტიკური ან სხვა გვარი მიზნით, რომ ერი მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ შინაარსს შეიცავს, მაინც მართალი უნდა იყოს ის აზრი, რომ ეროვნების ცნებაში შედის აგრეთვე რასიული ნომენტიც. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ დავეთანხმეთ, რომ ერის წევრები სხვა და სხვა ანტროპოლოგიურ თვისებებს ატარებენ, მაინც ჩვენ ვერ უარვყოფთ იმას, რომ თითოეულ ეროვნებაში სჭარბობს რომელიმე ანტროპოლოგიური ტიპი, ერთი ან ორი, რომელიც კილოს აძლევს მთელი ერის სახეს. ამ აზრით ჩვენ გვაქვს საბუთი ვილაპარაკოთ ქართველის, ფრანგის, ინგლისელის, რუსის და სხვების ანტროპოლოგიურ ტიპებზე.

ანტროპოლოგიური ტიპების სხვაობა გვაძლევს საბუთს ვიგულისხმობთ, რომ არსებობს განსხვავება ბავშვთა განვითარების პროცესშიც, ე. ი. სხვა და სხვა ეროვნების ბავშვები არ ვითარდებიან ერთნაირი წესით. შეიძლება, ჩვენი ბავშვების განვითარება განირჩევა ევროპიელთა განვითარებისაგან. ჯერ-ჯერობით ამაზე დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვით. ქართველი ბავშვების მომავალ ანტროპოლოგიურ გამოკვლევებს უნდა მივანდოთ საკმაო მასალის გამონახვა იმისათვის, რომ შეძლება გვქონდეს მტკიცედ განვსაჯოთ, როდის უნდა ჩვენმა ბავშვებმა შეუდგენ მაკადინობას სკოლაში. მანამდის კი ჩვენ იძულებული ვართ განვსაზღვროთ ეს დრო უცხოელთა მაგალითის მიხედვით, ე. ი. 6—7 წლით.

მაშ, 6—7 წლისას ჩვენი ბავშვები უნდა იწყებდნენ სწავლას სკოლაში, 22—23 წლისას კი მათ უკვე დამთავრებული უნდა ქონდეთ უეჭველად ყოველგვარი სასკოლო სწავლა. ამ ორ პასსაკს შუა ადამიანი შეიძლება უფროსი თაობის აღმზრდელობითი გავლენის ობიექტად იყოს. ამ გავლენის მთელს პროცესს ჩვეულებრივ ყოფენ სამ საფეხურად: დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს განათლებად.

თითოეულ საფეხურს, ფიქრობენ, აქვს თავისი განსაკუთრებული მიზანი. მოკლედ რომ ვსთქვათ, დაწყებითი და საშუალო განათლების მიზანია—შეიყვანოს ადამიანი **ერში**, უმაღლეს განათლებას კი შეყავს ის **კაცობრიობაში**.

მაგრამ დაწყებითი განათლების დანიშნულება განირჩევა საშუალო განათლების დანიშნულებიდან. დაწყებითი განათლება ზრდის მოსწავლეში **ეროვნულ შეგნებას**. საშუალო განათლება კი აღრმავებს დაწყებითი განათლების დანიშნულებას და მიყავს მოსწავლეს, შეიძლება

ითქვას, **ეროვნულ თვითშეგნებამდის**, რათა დაუთმოს შემდეგ უმაღლეს განათლებას ეროვნული თვითშეგნების განვითარება და ამ გზით ისეთი აღამიანების მომზადება, რომელთაც შესწევდეს იქნება ძალა დამოუკიდებლად იმუშაონ ეროვნული შინაარსის გამდიდრებისა და გაღრმავებისათვის.

აქ აღსანიშნავია ერთი რამ. დაბალი, საშუალო და უმაღლესი სკოლის დანიშნულებიდან დამოკიდებულია ის, რომ, რაც უფრო მაღალია განათლების საფეხური, მით უფრო მეტი საერთოა სხვა და სხვა ეროვნებათა სასკოლო დაწესებულებების შორის. უმაღლესი სკოლა ერთი ქვეყნისა უფრო უნდა ემზავსებოდეს მეორე ქვეყნის უმაღლეს სკოლას, ვიდრე საშუალო სკოლა პირველისა ემზავსება მეორისას. თავის მხრივ ერთი ქვეყნის საშუალო სკოლა უფრო ემზავსება მეორე ქვეყნის საშუალო სკოლას, ვიდრე ამავე ქვეყნების დაბალი სკოლები ემზავსებიან ერთი მეორეს.

დაწყებითი სკოლა ყველაზე უფრო თავისებური, ყველაზე უფრო ეროვნული მოვლენაა სახალხო განათლების სისტემაში. ყოველ შემთხვევაში დაბალი სკოლა უნდა იყოს სწორეთ ასეთი უაღრესად ეროვნული დაწესებულება; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკარგება პედაგოგიური ღირებულება.

როდესაც ჩვენ ვქმნით სახალხო განათლების ეროვნულ სისტემას, ჩვენ უნდა ანგარიში გავუწიოთ სკოლის სხვა და სხვა საფეხურის ზევით მოყვანილ დახასიათებას.

რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს თითოეული საფეხური ჩვენი სკოლისა? დავიწყოთ საკითხის განხილვა უმაღლესი სკოლიდან, ვინაიდან ამისათვის ჩვენ უკვე ხელთ გვაქვს ევროპიული ნიმუშები, რომლებსაც ძლიერ ცოტა შესწორება სჭირია, როგორც ეს უმაღლესი სკოლის დახასიათებიდან გამომდინარეობს.

ისე როგორც უცხო ქვეყნებში, საქართველოშიც უმაღლესი სკოლა უნდა გრძელდებოდეს 4—5 წელიწადი. უმაღლესმა სკოლამ უნდა შეათვისებინოს მოსწავლეს მეთოდი მეცნიერული კვლევა ძიებისა, რომლის საშუალებით მას შემდეგში უნდა შეეძლოს **თვითონ** გადაამუშავოს მეცნიერულად მის მიერვე შეგროვებული ფაქტები. აქ აღსანიშნავია, რომ მეცნიერულ მუშაობას საქმე აქვს ობიექტიურ ქეშმარიტებასთან, რომელიც მით უფრო აშკარად ცხადდება, რაც უფრო ნაკლებია

მასში ინდივიდუალ-ფსიქოლოგიური მომენტები. აი სწორედ ამისთვის, უმაღლესი სკოლა უნდა იყოს ობიექტიური.

გარდა ამისა უმაღლესი სკოლა აძლევს მოსწავლეს პრაქტიკულ ცოდნასაც, რომელიც შემდეგ დასჭირდება მას არჩეული კარიერისათვის*).

თუ ჩვენ მეცნიერული მეთოდის შესათვისებლად საკმაოდ ჩავთვლით 3 წლის მუშაობა უმაღლეს სკოლაში, და ერთი ან ორი წელიწადი მიუზომეთ პრაქტიკულად გამოსადეგ ფაქტიურ ცნობების შექმნას, მაშინ ჩვენი უმაღლესი სკოლა 4—5 წლის კურსიანი იქნება.

ასე ადვილად წყდება საკითხი უმაღლეს განათლების ხანგრძლივობის შესახებ საქართველოში. ამ შემთხვევაში ჩვენ ვეყრდნობით უცხოელთა გამოცდილებას. ფილოსოფიური ფაქულტეტი გერმანიაში, რომელსაც წმინდა თეორეტიული ხასიათი აქვს, გრძელდება 3 წელიწადი.

ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ 22—23 წლისთვის მოსწავლეს დამთავრებული უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება. ეხლა დავინახეთ, რომ უმაღლესი განათლებას ჩვენში, ისე როგორც სხვა ქვეყნებშიც, უნდა დაეთმოს 4—5 წელი. აქედან გამომდინარეობს რომ 18—19 წლისთვის მოსწავლე უნდა იწყებდეს უმაღლეს სკოლაში სწავლას ე. ი. თანამედროვე სასკოლო სისტემის ფარგლებში მას უკვე დამთავრებული უნდა ქონდეს საშუალო სკოლა, რათა შეეუდგეს, თუ მოისურვა, უმაღლესი განათლების მიღებას.

(შემდეგი იქნება).

*) პროფ. ბერიტაშვილი აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის მიზანია „მეცნიერული ანალიტიკური აზროვნება“, რომელიც შეითვისება „მეცნიერების ძირითად კანონ-შეწონილებათა და მეთოდების პრაქტიკული შესწავლის საშუალებით“. პროფ. ბერიტაშვილი ხაზს უსვამს, რომ უნივერსიტეტის მიზანია მხოლოდ აზროვნების მეთოდები და არა დასრულებული ცოდნა (იხ. მისი „ცხოველთა ფიზიოლოგია“, 1 ტომი, წინასიტყვაობა). ამნაირად საკითხის გადაწყვეტა—ჩემის აზრით გადაჭარბებაა. დასრულებული ცოდნის მინიჭება არ შეიძლება სრულიად ავაცილოთ უნივერსიტეტს, ვინაიდან სხვა რომ არ იყოს რა, თვით „მეცნიერების ძირითად კანონ-შეწონილებათა“ შეგნება ხომ მატერიალურს ცოდნას მოითხოვს.

ერთი რეცენზიის გამო.

(ბ. მ. სენაკელის საპასუხოდ).

მიმდინარე წლის „განათლების“ №№ 4—5-ში მოთავსებულია მ. სენაკელის „რეცენზია“ ჩემი—მეგრული (ივერული) ენის“ შესახებ, რომელიც გამოვიდა ხელნაწერის უფლებით, და მაშასადამე, აქვს ხასიათი მხოლოდ წინასწარი შრომისა, ერთგვარი „ანგარიშისა“ იმ სამეცნიერო დაწესებულებათა მიმართ, რომელთაც მომანდევს მასალის ჩაწერა.

ამაირად, „რეცენზენტი“, რა თქმა უნდა, არღვევს საკრიტიკო ეთიკას. იგი ჩვენს შრომას, სულ ათიოდე თვის განმავლობაში შეგროვილ და გამოცემულს (წინასწარ) ადარებს პროფ. ა. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის შრომებსა.

სენაკელ „ენათ-მეცნიერს“ ეტყობა წარმოდგენაც არა აქვს სამეცნიერო ეთიკა-ტრადიციის და დასახელებულ მეცნიერთა შრომების დანიშნულებისათვის.

ფრიად სამწუხაროა, რომ სარეცენზიო მასალა ასე ზერელედ, „სხვათა შორის“ იკითხება ჩვენში და აჩქარებულად ფასდება. „რეცენზენტი“, რომ მეტის ყურადღებით მოპყრობოდა წიგნს, თავის თავს, როგორც მსაჯულს,—მეტის სიმკაცრით, ჩვენ არ დაგვჭირდებოდა იმის წერა, რაც ვალდებულია იცოდეს ყველა განათლებულმა ქართველმა.

1. აღ. ცაგარლის წიგნი („*Мингрельские этюды*“ 1880)—შედეგია სამეგრელოში 1877—79 წ.წ. მოგზაურობის და 1880 წ. გამოცემული და წარდგენილი პეტერბ. უნივერსიტეტში დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

2. იოს. ყიფშიძის „*Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка*“ (1914)—შედეგია 1909—13 წ.წ. მოგზაურობის და 1914 წ. სამაგისტრო დისერტაციად დაცული იმავე უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე.

ჩვენს „რეცენზენტს“ მეტი კეთილსინდისიერობა რომ გამოეჩინა, რომ არ აჩქარებულობდა და ჩვენი წიგნის წინასიტყვაობა—შესავალი მაინც მეტის ყურადღებით წაეკითხა და ცდილიყო საქმის ვითარების გაგებას—მიხედებოდა თუ, რა არა-ჩვეულებრივი, პირდაპირ აუტანელი

პირობები დროებისა გადაგველომა წინ (იხ. გვ. გვ. X—XI, 1—2, 7 და 42—43), რომლისთვისაც მას უფლება არ ჰქონდა ანგარიში არ გაეწია. იმ დროებში კი, როდესაც დაიწერა დასახელებული შრომები—წარმოდგენაც შეუძლებელი იყო ასეთ დაბრკოლებათათვის.

წიგნი—შობილია ტანჯვის წილში, წარმოდგენს წინასწარ, ხელნაწერის მაგიერ ანგარიშს და ბ. სენაკელი კი გვიკითხავს მეგრული ფილოლოგიის ლექციებსა. „რეცენზია“—აშკარად შედგება წინათვე განზრახული სურვილისა წიგნის დასამცირებლად.

სამწუხარო ის არის, რომ ავტორი ვერ იჩენს სათანადო ცოდნას. იგი შეიჭრება ისეთ რთულ დარგში, რომელთანაც მას არაფერი აქვს საერთო (საბუთი—რეცენზია) და კანდიდატად ხელს იქ აფათურებს, სადაც მას ამის უფლებაც კი არა აქვს.

„რეცენზია“—შედგება უფრო უფიცობისა, ვიდრე გაუგებრობისა და გაქლენთილია მდაბალის ტენდენციით.

ავტორი, სხვ. შორის, გვისაყვედურებს მეგრული ენის უცოდინარობას და თავი ენათ-მეცნიერად მოაქვს ორიოდე უნიჭო მაგალითის წყალობით.

ჩვენ, ერთს ლექსში „სახათი“ თარგმნილი გვაქვს „ხასიათად“ (გვ. 63), ე. ი. ისე როგორც ეს იყო განმარტებული ამ ლექსის ჩამწერთა მიერ (ს. კურხუ) და არის, მაშასადამე, ერთ-ერთი ნიმუში ადგილობრივ თქმისა.

ავტორს ავიწყდება, რომ ერთსა და იმავე სიტყვას შეიძლება ჰქონდეს მრავალი მნიშვნელობა, ამა თუ იმ გამოთქმის მიხედვით (ლია-ლექტ.) და ბრძანებს, რომ ამ სიტყვას მეგრ. ენაში აქვს ერთად ერთი მნიშვნელობა (თქვენის „დაკვირვებით“?)—„ენერგია—სიძლიერის“; გამოდის რომ რეცენზენტს დაუვლია ამ აზრით სამეგრელოს ყველა კუთხე სამურზაყანოთი და სრული სალინგვისტო ცდა უწარმოებია ამ სიტყვის მნიშვნელობის დასასაბუთებლად. ამ სიტყვას მრავალი სხვა მნიშვნელობაც აქვს და ეს აღნიშნულია ჩვენს „სალექსიკონო მასალაში“, რომლის გამოქვეყნებას, იმედია, გვაცლის ბ-ნი სენაკელი და მანამ კი იმდენად მა-ნც ღირს გვეყოფს პატივისას, რომ თავს შეიკავებს.

„გილო—გმირია“ მეგრულად და ავტორს, ე. ი. ჩვენ, კი ჰგონია (გვ. 121), რომ ეს აღმასია“-ო.

ლექსის ბოლოში შენიშვნა I (გვ. 93), რომ წაეკითხა რეცენ-

ზენტს, ვგონებ, უნდა მიმხვდარიყო, რომ აქ და, საზოგადოდ, სიტყვები განმარტებულია ისე კი არა, როგორც ჩვენა გვგონია, არამედ ისე, როგორც ეს არის ხმარებული მთქმელის მიერ ამა თუ იმ შემთხვევაში.

აქაც, იმედია, გვაცლის ავტორი „სალექსიკონო მასალის“ დამუშავებას და ლექსიკოლოგიურ მხარეს მაშინ გაარჩევს, როდესაც ეს ჩამოყალიბდება საბოლოოდ და არა წინასწარი შრომის მიხედვით.

ასეთივე ბედი ეწვია სიტყვა „გორსაპილს“, რომელიც უნაკლულად თარგმნილია მთქმელი დ. ვაგუას მიერ და სამეგრელოს ყველა კუთხეში აქვს „აღვსილის“ მნიშვნელობა, ხოლო საიდან გაჩნდა რაღაც „გასანთლული, განიავებული“-ს ცნებები კეთილ-ინებოს და საღიალექტო მაგალითებით და შედარებითი მეთოდის საშუალებით ცხად ჰყოს „რეცენზენტმა“.

ზოგჯერ, პირდაპირ განზრახვით „რეცენზენტი“ ამახინჯებს უბრალო აზრსაც კი. წიგნი—შედგება რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დეპარტამენტისა და არა პირადად ნ. მარჩისა, რომელიც ამ შემთხვევაში იყო მხოლოდ ინიციატორი (გვ. 116 „გან.“, № 4—5, 1920).

„ზუგდი“—არ შეიძლება იყოს ზურგი + დიდიდანო, ამბობს ბ. სენაკელი. ავიწყდება კი კანონი ბგერათა გამოვარდნისა სიტყვებში, რის გამოც შეიძლება სიტყვათა შორის ვაცილებით მეტი განსხვავება იყოს ფონეტიკურად, ვიდრე „ზუგდიდი—ზურგდიდის“ შორის.

ამნაირად, მისი „ფილოლოგია“ აქ ყალბს საფუძველზე და უცოდინრობაზეა აგებული.

„მოადანახე“ ჩვენ მიერ განმარტებულია სწორედ და თუ ავტორი აქაც გვაცლის და აჩქარებულის რეცენზიით გზათა კვალს არ ავვირევს არა ერთ და ორ მაგალითს მოვიყვანო მისი ცხად საყოფელად „სალექსიკონო მასალაში“, აგრეთვე ხალხურ თქმულებასაც ბ.-ნ კ. გრიგოლიას მიერ ჩაწერილს ზუგდ. მაზრაში 1919 წ. „მოადანახეს“ შესახებ.

პროფ. ი. ყიფშიძის განმარტება არ არის კატეგორიული, იგი მხოლოდ პირობითია (იხ, „ლექსიკ.“ გვ. 281,409) და ფრიად ფრთხილად და გაუბედავად აღნიშნავს „ხუნა-ს“ კავშირს დასახელებულ სოფლის სახელწოდებასთან.

„რეცენზენტი“ უარპყოფს თანამშრომელთა მიერ ჩაწერილ მასალის მნიშვნელობას, ავიწყდება კი, რომ ასეთი მეთოდი ჩვენ მიერ

აღმოჩენილი კი არ არის, ის მიღებულია საერთოდ და მას მიმართეს ეს მაინც უნდა გკოდნოდათ, პროფ. ა. ცაგარელმა (იხ. Предисл.), ნ. მარშმა (იხ. „Программа для собранія... 1916), ი. ყიფშიძემ (Граммат....) და სხვებმა.

ზობჯერ სხვის მიერ ჩაწერილი მასალა იმდენად ყურადსაღებია, იმდენად მდიდარია ფორმებით და სალექსიკოგრაფიო მასალით, რომ მათი ნნიშვნელობის უარყოფა მხოლოდ ტენდენციად შეიძლება იყოს აგებული (იხ. მაგალითისათვის „მეგრ. (ივერ.) ენის“ გვ. გვ. 127—128, 152—154, 169—168 და სხ.).

მასალა „უმეთოდოთ“ არ ყოფილა ჩვენ მიერ შეგროვილი; იგი, როგორც სჩანს „შესავლიდან“, აგებულია 1916 წლის—„Программа...-ზე (С.П.Б. съ участ. Н. Марра) და დაბეჭდილია მხოლოდ ისეთები, რომელნიც მართლა წარმოადგენენ რაიმე ინტერესსა და ჩაწერილნი არიან მეგრული მართლწერის დაცვით.

ამიტომ პირდაპირ გვიკვირს, რა უფლებების ძალით ამტკიცებს ავტორი, რომ ჩვენ—ყოველგვარი მოწოდებული მასალა სიამოვნებით მოგვეთავსებია წიგნში“ (გვ. 120, გან.“ № 4—5, 1920).

ასე მარტივად რომ გადაგვეწყვიტა საკითხი მარტო I წ. I ნაკვეთი დაიჭერდა არა ნაკლებ 2.000-მდე გვერდისა, რადგანაც ჩვენ აუარებელი მასალა მივიღეთ მოგზაურობის დროს, დანარჩენიც მოგვედიოდა და მოგვედის, მაგ. მარტვილ-ზუგდიდიდან, მაგრამ ამათგან, როგორც თვით შრომა ამტკიცებს, მხოლოდ სულ რამოდენიმე მხოლოდ აღვილი ამ ჩვენს წინასწარ გამოცემაში, რადგანაც დაბეჭდვას წინ უძღოდა მასალის გადაშინჯვა და მისი სალინგვისტო ღირებულების შეფასება. აგრე იყო და აგრე უნდა იქმნეს.

ჩვენს, სხვა მრავალ ხელ-ნაწერთა შორის, ბევრია ასეთი დაუბეჭდავი მასალა, რაშიც, თუ კეშმარტების მძებნელია მართლა, შეუძლია პირადად დარწმუნდეს „რეცენზენტი“.

სრულიად მიუღებელი, უსამართლო „შესწორება“ შეაქვს „რეცენზენტს“ № 3 ლექსის მართლწერაში. ის ჩაწერილია თვით მთქმელის მიერ, რომელიც წარმოშობით ნოსიერელია (იხ. გვ. 54, შენ. I ჩვ. წიგნისა) და ე-ს მაგიერ, რომელიც უფრო ზოგდიდიზია, ნახმარია—„თუ“ სრულიად კანონიერად ნოსირი—აბაშის გამოთქმის თანახმად.

ამის ზედმეტ საბუთს, ავტორი რომ მეტის ყურადღებით მოკ-

ყრობოდა ჩვენს წიგნს, იპოვიდა მე-45 გვერდზე (დებულებათა № 108) სადაც აღნიშნულია სალინგვისტო მოვლენა ფორმულის საშუალებით $E > H$.

თანამშრომელთა შორის უმეტესობა—სტუდენტობა და მასწავლებლობაა, რომელთაც კარგად აქვთ შეთვისებული ფონეტიკა და მართლ—წერა ენისა. „რეცენზენტის“ შენიშვნის გავება კავშირითა („ნ“ „დო“ და სხვ.) შესახებ (გვ. 121) ფრიად გაგვიძნელდა აზრის სიბუნდოვანისა გამო, და, ნება გვებოძოს, დავსტავოთ იგი ყურადღებლად.

სულ 6—გვერდიან „რეცენზიაში“ მკითხველი იპოვნის არა ერთ წინააღმდეგობას: 1) მასალათა ჩაწერის დროს საჭიროა „მომთხრობელის“ (!) გამოთქმის სწორედ გადმოცემაო (გვ. 119) და თითონვე კი გვიქადაგებს, რომ „ეილო-ს“ მაგიერ „ყილო“ უნდა იყოს, თითქოს სცნობდეს ლ. არჩაიას გამოთქმას.

2) წიგნში თქვენ ვერ იპოვით რამე ახალ აზროს (გვ. 122) და თვითვე ავიწყდება მისივე სიტყვები ისე კატეგორიულად გამოსახული წინა გვ—ბზე (117—118): „არ იქნება ინტერესს მოკლებული ჩვენი ფილოლოგიის შევლევართათვის ის ახალიც, რომელიც აქვს ავტორს ამ თავში აღნიშნული“; ის სამართლიანად ამბობს, რომ... „ავტორი პირველად აღნიშნავს მ. ენაში, ე. წ. სიტყვის მასალებს და ფართოვან სიტყვებსო“ და სხ.

მე-III თავში აღნიშნულია, დიახ, პირველად, სხვ. შორის, ზმნათა სიუხვე მ. ენაში, რაც უნდა მოწმობდეს მის პირველყოფილობას (გვ. 24) და სხ. კითხვები, რომელთაც მხოლოდ ვაკვრით შეგხნენ ა. ცაგარელი და პ. ჯარაია, გაშუქებულნი არიან ახლის მაგალითებით და სულ სხ. თვალსაზრით (23—26 გვ. გვ., იხ. აგრეთვე „დებულებები“ 44—46 გვ. გვ.).

შეიბრალეთ ასეთს შემთხვევებში მკითხველი მაინც, თუ ავტორი ყოველთვის დაბალი ღობეა კრიტიკისთვის და ნუ უნერგავთ ცრუ წარმოდგენას წინასწარი შრომისათვის მკითხველთა.

„წიგნში ბევრი შეცდომებია“—ო—(კორექტურული) და რეცენზენტი არ უწყევს ანგარიშს იმ აუტანელი პირობებს ბეჭდლისას, რომელიც პირდაპირ შეუძლებელსა ჰყოფს ასეთი წიგნის გამოცემას ახლო მომავალში (მაგ. სპეც. შრიფტების უქონლობა, მათი ჩამოსმის

შეუძლებლობა, ქაოსი სტამბებში, სადაც სამეცნიერო მასალის გვერდით ან იმავე ასოთ-ამწყობის ხელით საჩქაროდ მზადდება... აფიშები, ცირკის პროგრამა და სხ.).

ამ, და სხ. მრ. დაბრკოლებებმა დროებისამ გვაიძულეს I წიგნის მხოლოდ I ნაკვეთი გამოგვეცა და ისიც, ვიმეორებთ, **ხელნაწერის უფლებით**, რასაც კეთილსინიდიისიერი მკითხველი ვალდებულად ანგარიშს გაუწევს, ხოლო საყვედურის მაგიერ (რაც უადვილესია) თვით ეცდება არსებულ აუტანელ პირობებში უკეთესის შექმნას.

ბ. სენაკელო! თქვენს წ—გვერდიან „რეც.“—ში იმდენი შეცდომა ბეჭედისა და სტილისა, რომ, თუ არ სპეციალისტს, გაგებაც კი გაუჭირდება თქვენი სტატიის ზოგიერთ ადგილებსა (სულ 40-მდე შეცდომა, მაგალითისათვის იხ. გვ. 118, 1—2, 5, 7, 8...; 120, 8—10). არც კი გასჯილხართ სპეციალურ შრიფტისათვის და ზოგან პირდაპირ მახინჯდება აზრი...

წიგნის, როგორც შედგენის, ისე გამოცემის ინიციატორი ჩვენ არა ვართ. იგი შედგეია უბრალო დავალებისა, რომელიც გამოიწვია ჩვენსა და ნ. მარრის შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლამ ალ. ცაგარელის, პეტრე ქარაიასა და იოს. ყიფშიძის შრომათა გარშემო და წარმოადგენს **წინასწარ** ანგარიშსა.....

Sapienti sat.

შ. ბერიძე.

ქ რ ო ნ ი კ ა.

ა) სახალხო განათლების სამინისტროში.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში სახალხო განათლების სამინისტროს უმთავრეს დანიშნულებას შეადგენს გაატაროს ცხოვრებაში სკოლის დემოკრატიზაციის პრინციპი. შესძლო თუ არა ჩვენი ჯერ კიდევ ნორჩი სახელმწიფოს განათლების სამინისტრომ აღნიშნული პრინციპის გატარება და დასახული მიზნის აღსრულება? სავსებით, რასაკვირველია, ვერა, მაგრამ იმ საშინელ ობიექტურ პირობებში, რომელშიაც მუშაობდა სამინისტრო სკოლის ამშენებლობის საქმეში ბევრი დადებითი რამ გაკეთდა და შეიძლება თამამად ითქვას, მეტის გაკეთებაც არ მოეთხოვება.

სამწუხაროდ დრო ნებას არ მძლევს, დაწვრილებით აღვნიშნო ყველა ის, რაც გაკეთდა სახალხო განათლების დარგში, აღვნიშნავ მხოლოდ კონსპექტიურად უმთავრეს მხარეებს დადებითი მუშაობისას:

1. გატარებული იქმნა ცხოვრებაში სკოლის გაეროვნების (ნაციონალიზაციის) პრინციპი, დაწყებული დაბალი საფეხურიდან და გათავებული უმაღლესი საფეხურით: ყველა საგნების სწავლება, როგორც პირველდაწყებით, ისე უმაღლეს დაწყებით, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში სწარმოებს დედა ენაზე.

2. სავსებით გატარებულ იქმნა ცხოვრებაში სახალხო განათლების საქმის ერთ უწყებაში მოთავსებისა და სკოლისათვის საერო ხასიათის მიცემის მოთხოვნა: მოხდა სრული ლიკვიდაცია საეკლესიო, სამრევლო სკოლებისა, აღნიშნული სკოლები თავის ინვენტარით გადაეცა განათლების სამინისტროს, გაუქმებულ იქმნა საღვთო სჯულის, როგორც სავალდებულო საგნის სწავლება ყველა საფეხურის და ტიპის სკოლებში, აღნიშნული საგნის მასწავლებელთა შტატის ლიკვიდაციით.

3. გატარდა ცხოვრებაში სკოლის გაერთიანების პრინციპი: სკოლის საფეხურთა შორის არსებობს ორგანიული კავშირი: გაუქმებული იქმნა ფაქტიურად სახელწოდება „გიმნაზია“, რომელიც თითქოს ერთგვარ პრივილეგიას ანიჭებდა მათში მოსწავლე პირებს; პირველ დაწყე-



ბითი, უმაღლეს დაწყებითი და საშუალო სკოლა, — აი აგებულება ჩვენი სახალხო სკოლისა. პირველ დაწყებით სკოლაში კურს დამთავრებული მოსწავლე გამოცდის ჩაუბარებლად, დაუბრკოლებლივ გადადამგორე საფეხურის, უმაღლეს დაწყებით სკოლაში, ხოლო უმაღლეს დაწყებით სკოლაში კურს დამთავრებული, აგრეთვე დაუბრკოლებლივ გადადის საშუალო სკოლაში (ყოფილი მე-V კლასში).

4. მთელი სახალხო განათლების საქმის გამგებლობა გარდა საშუალო სკოლებისა გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციებს — ერობებს და ქალაქის თვითმართველობებს, რომელნიც განაგებენ ამ საქმეს სპეციალისტების — ინსტრუქტორების საშუალებით.

5. რესპუბლიკაში მოსახლე მცირე ეროვნებათა უფლებები კულტურულ-განმანათლებელ დარგში სავსებით დაცულია: არა ქართულ სკოლებში ყველა საფეხურისა და ტიპის საგნები ისწავლება დედა ენაზე სახელმწიფო ენა კი, როგორც სავალდებულო საგანი, და ისიც მხოლოდ მეორე საფეხურის სკოლის (უმაღლეს დაწყებითი) I კლასიდან პირველ დაწყებით (ოთხ წლიანი კურსით) სკოლაში სახელმწიფო ენი სწავლება სავალდებულო არ არის.

6. სახალხო განათლების სამინისტროსთან დაარსდა სკოლის რეფორმისა და სასწავლო კომიტეტები. სკოლის რეფორმის კომიტეტმა შეიმუშავა სკოლის რეორგანიზაციის სასურველი პროექტი, შეადგინა პროგრამები პირველ დაწყებით (ოთხწლიანი სკოლის) სკოლების სასწავლო კომიტეტმა განიხილა მთელი რიგი არსებული სახელმწიფო წიგნებისა და გამოიტანა თავისი დასკვნა ამა თუ იმ წიგნის სება-ნაკლის შესახებ. როგორც რეფორმის, ისე სასწავლო კომიტეტმა განაგრძობენ აღმშენებლობით მუშაობას.

7. სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად იმართებოდა მატერიალური ხასიათის პედაგოგიური კურსები, დიდი ყურადღება ხელგარჯილობის სწავლების საქმეს სკოლებში.

8. სამინისტრომ დიდი დახმარება გაუწია კერძო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს წიგნების გამოძიების საქმეში. აწვდიდა შეღავათიან ფასებში საბეჭდო ქაღალდს და სუბსიდიებს. ამ დახმარებით შედეგია, რომ სიბავშო ჟურნალი „ნაკადული“, „ჯეჯილი“, „ქართული ჟურ.“ „განათლება“ განაგრძობენ არსებობას. ამ დახმარების, შედეგი

